# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-
ვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურ-
თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 29 მარტი. 2024 წ. №37 (9717) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ზვიად გამსახურდია – 85

# შვილის გაკვეთილები ახალი თაობის გადასარჩენად!



ახლახან გამოვიდა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის და აღმოსავლეთმცოდნის კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას მონუმენტური ნაშრომი „ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული პორტრეტი“, რომელსაც სათაურად ამშვენებს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, „საქართველოს სულიერი მისიის“ განმსაზღვრელის, მეცნიერის და მწერლის, საქართველოს ისტორიასავით ტანჯული და ჯვარცმული მამულიშვილის, ზვიად გამსახურდიას მოწოდება — სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის“...

წიგნი გამოსვლიდან ორ თვეში ბესტსელერად იქცა!

ჩვენი უახლესი ისტორიის კეთილსინდისიერი მკვლევარი და ჩინებული კალმოსანი, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად აღწერს მამამისის ბრძოლას გათითოკაცებული საქართველოს გაერთიანებისა და გადარჩენისთვის.

შეაყარე კედელს ცერცვი!.. „მერე შინაც აიშალნენ, ძმამ მოუდო ძმასა ყისტი“!.. რუსთაველის პროსპექტი და მთავრობის სასახლე დაპირისპირებული ქართველების ბრძოლის პოლიგონად იქცა!

ერთმანეთს ებრძოდნენ ზვიადისტები და პუტჩისტები, ზნეობრივად მართალი მამულიშვილები და უსამშობლო კომუნისტკომკავშირლები...

ზვიადის „ნაპოვნმა“ კიტოვანმა და სიგუამ ხომ მთლად დედა გვიტირეს!..

დღეს გთავაზობთ ერთ თავს კონსტანტინე ზვიადის ძის ახალი წიგნიდან, სადაც ნათლად იკითხება ჩვენი ეროვნული ავადმყოფობის უკურნებელი სენი — ინტელიგენციის, მწერლების, ხელოვანების, მაშინდელ პოლიტიკას მიტმასნილი ცნობილი ქართველების დაპირისპირება.




მთავარი რედაქტორი

# ...ესკალაციის წასვლა დროებითი დასრულებისკენ



მუხრან მაჭავარიანი:

მირჩევნია, ზვიად გამსახურდიასთან ერთად დავმარცხდე, ვიდრე თქვენთან ერთად გავიმარჯვო!

**მწერლებში 1991 წლის ოქტომბრის დღეებში თითქოს გაიღვიძა 1977 წლის აპრილის საგანგებო შეკრების სულმა, რომელზეც მათ, კომპარტიის ცეკას დავალებით, თავიანთი კოლეგა, დისიდენტი ზვიად გამსახურდია დაგმეს და მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. შერიგებასა და დიალოგზე ფიქრს მათმა ერთმა ნაწილმა ცეცხლზე ნავთის დასხმის პოლიტიკა არჩია. 1991 წლის 12 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრება, რომელზეც 2 სექტემბრის აქციის შეფასებებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.**

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა განაცხადა: **„2 სექტემბერს მოხდა დიდი უბედურება. მე არ ვიცი, იქ არ ვიყავი. ათას რამეს ლაპარაკობენ. ჩემი აზრი ასეთია: ორი სექტემბრის მიტინგი არ უნდა ჩატარებულიყო!.. ამ მიტინგს უსათუოდ პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა. მე ეჭვი არ მეპარება არც ირაკლი წერეთლის ქართველობაში, არც გიორგი ჭანტურიას, არც ჩხეიძის. ჭანტურიაზე და წერეთელზე ვარ გაოცებული. როგორ შეიძლება?! რაგინდ პირადი ინტერესიც არ უნდა ჰქონდეთ, განა ვერ ხვდებიან, რომ ეს დაღუპავდა. როცა კონგრესმენები იმყოფებიან საქართველოში, როცა წყდება საქართველოს ბედი, რა ხდება?.. მე მიმაჩნია, რომ ამ მიტინგის ჩატარება დიდი შეცდომა იყო და თითქმის ღალატი და მე გაოცებული ვარ, ეს ნიჭიერი ხალხი, რომლებიც ორგანიზატორები არიან ამ მიტინგისა, როგორ ვერ ხვდებიან. ეს გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგია“**. ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ლიტერატურის კრიტიკოსმა **თემურ ქორიძემ** შემდეგნაირად დაახასიათა შექმნილი ვითარება და ის, რაც აქედან შეიძლებოდა განვითარებულიყო: **„შემზარავი და საზიზღარია სამოქალაქო ომი, მაგრამ გაცილებით უფრო შემზარავია ის, ვინც ამ სამოქალაქო ომში გაიმარჯვებს. იმისთვის, რომ ეს სამოქალაქო ომი ავიცილოთ, ეს არ არის ცალსახა ამბავი. პრეზიდენტს მომხრეებიც ჰყავს. ასე რომ, გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნება, თუ არ დაიწყება ჯანსაღი ტენდენციების განვითარება, პირადად ჩემთვის ყველაზე საინტერესო არ არის ხელისუფლებაში ყოფნა“.**

იხ. 3 გვ.

# ახლა ის ⑤ დროა, როცა საქართველომ კავკასიაში პოზიციები უნდა გაიმყაროს!

## ელდარ ნადირაძე:

# რისმაგ გორდეზიანის ოქროს ნამცეცები



5

„ეტრუსკები — ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“

6



# არა ძალადობას!!!

# უკრაინაში ომი რუსებმა „წმინდად“ გამოაცხადეს!

7

# ყურადღება!

2024 წლის 12 აპრილს, 14 საათზე, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში ჩატარდება საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის რიგგარეშე ყრილობა.

მისამართი აკაკი წერეთლის №116. მეოთხე სართული.

რეგისტრაცია დაიწყება 12 საათზე.



# აფხაზეთის ომის გმირთა ოჯახის წევრებს ირაკლი კობახიძემ და შალვა პაპუაშვილმა მიუსამძიმრეს

**სამების საკათედრო ტაძარში ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსვენებულთა ოჯახის წევრებს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მიუსამძიმრეს.**

სამების საკათედრო ტაძარში გუშინ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსვენებული, 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 12 პირის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

ხუთი მებრძოლი დიღმის ძმათა სასაფლაოზე, სხვა იდენტიფიცირებული პირები კი, ოჯახების გადაწყვეტილებით, სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის საგვარეულო სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაკრძალეს!

## შალვა პაპუაშვილი: საააკაშვილის ევროპელი მეგობრები მითითებებს არ უნდა იძლეოდნენ!



**წესით არ უნდა ღირდეს კომენტარის გაკეთება სისხლის სამართლის დამნაშავის განცხადებებზე, მაგრამ სამწუხაროდ, აქაც ჩაგვაყენა ზოგიერთმა ჩვენმა ევროპელმა მეგობარმა, როდესაც ის ქართული სანქციების გვერდის ავლით ევროპაში თავისუფლად გადაადგილდებოდა, ზუსტად იმ კაბინეტებში სადაც დღეს ადეიშვილს ვხედავთ. ამ კაბინეტებში დაიარებოდა, ხელს ართმევდნენ, კონგრესებზე პატიჟებდნენ,** – ასე შეაფასა პარლამენტის თავმჯდომარემ ყოფილი პრეზიდენტის, მსჯავრდადებული მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო პროგნოზები.

პაპუაშვილი ამბობს, რომ ევროპელი მეგობრები, რომლებიც სააკაშვილს საკუთარ კაბინეტებში მასპინძლობდნენ, ქართული მართლმსაჯულების შესახებ მითითებებს არ უნდა იძლეოდნენ.

## სტრასბურგის გადაწყვეტილების შემდეგ ველოდები აშშ-ის საელჩოს განმარტებას, მოეხსნა თუ არა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს სანქცია

**მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის მიმართ დღემდე მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სანქციები, გვახსოვს, მაშინდელი ელჩის ხელმძღვანელობით, საელჩომ ისიც კი იკადრა, რომ საქართველოს მოსამართლეს მოსთხოვა ანგარიში მიღებულ გადაწყვეტილებაზე.**

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, იმის გამო, რომ ვიღაცას საელჩოში არ მოეწონა ლაშა ჩხიკვაძის გადაწყვეტილება და ვიღაცას სიმპათიები ჰქონდა ნიკა გვარამიას მიმართ, ეს მოსამართლე დაასანქცირეს.

**„რაც შეეხება მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს, მასზე დღემდე მოქმედებს აშშ-ის საელჩოს სანქცია. გვახსოვს ჩვენ რომ მაშინდელი ელჩის ხელმძღვანელობით, საელჩომ ისიც კი იკადრა, რომ საქართველოს მოსამართლეს მოსთხოვა ანგარიში ამ გადაწყვეტილებაზე. შემდეგ გველაპარაკებიან დამოუკიდებელ მართლმსაჯულებაზე, როდესაც სტუმარი მასპინძელ ქვეყანაში, უბრალოდ ეტიკეტსაც არ სცემ პატივს, რომ შენ ხარ სტუმარი, მასპინძელთან მიდიხარ და სთხოვ ანგარიშს, რატომ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება. იმის გამო, რომ ვიღაცას საელჩოში არ მოეწონა ეს გადაწყვეტილება და ვიღაცას სიმპათიები ჰქონდა ნიკა გვარამიას მიმართ, ეს მოსამართლე დაასანქცირეს, ჩახსნეს გარკვეული პროგრამებიდან, გახადეს მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თავდასხმის ობიექტი ის, მისი ოჯახი, ვინმემ მოიკითხა როგორი იყო მისი ემოციური მდგომარეობა იმ დღეებში? ვინმეს საერთოდ ადამიანები აინტერესებს როდესაც ასე ინსტრუმენტალიზირება ხდება.**

**აქაც ველოდები ამერიკის საელჩოსგან გააკეთონ განმარტება, მოეხსნა თუ არა სანქცია ლაშა ჩხიკვაძეს? თუ ეს სანქციები კვლავ ასე უსამართლოდ უნდა გაგრძელდეს მის მიმართ და მეორე, რას ეფუძნებოდა მაშინდელი რეაქცია აშშ-ის ყოფილი ელჩისა, როდესაც თავს დაესხა ქართულ მართლმსაჯულებას და პოლიტიკურ მოტივაციებზე საუბრობდა. გახსოვთ, შეწყალების შემდეგ, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა უცხოელების კარნახით გააკეთა, პირველი რაც იყო წითელი ხალიჩა დაუგეს და აშშ-ის საელჩოში წითელ ხალიჩაზე მიიღეს ნიკა გვარამია, შემდეგ სხვადასხვა პრეზენტაციებზე გვერდით ესხდნენ და მათი საყვარელი ადამიანი გახდა“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ ნიკა გვარამიას სარჩელი განსახილველად არ მიიღო.

## ორი კრიმინალი – გვარამია და მელია უცხოეთიდან ჩარევის შედეგად არიან გარეთ, კინო წინ არის!

**სტრასბურგის გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ გვარამია არის დამნაშავე, არსებობდა მისი ციხიდან გამოყვანის პოლიტიკური მოტივაცია, რათა შექმნილიყო რადიკალური დღის წესრიგი,** – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** განუცხადა.

**„ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რამხელა ფარსს ჰქონდა ადგილი, როდესაც ვნახეთ მოწოდებები ნიკა გვარამიას შეწყალებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ევროპელი პოლიტიკოსისგან. შემდეგ ვნახეთ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის მიერ ნიკა გვარამიას შეწყალება. ვნახეთ, რომ მან ვერც კი გაბედა, აეხსნა, რა იყო შეწყალების საფუძველი. ვნახეთ გამოხმაურებები ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსისა, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას იწონებდნენ, როგორც დეპოლარიზაციის ნაწილს და ვხედავთ, სად ვართ ახლა.**

**ახლა ხომ მიხვდა საზოგადოება, რომ ეს ყველაფერი იყო ფარსი, არანაირი დეპოლარიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი ეს არ იყო. ადამიანი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოსაც კი გამოეკიდა, ალბათ ახლა სტრასბურგის სასამართლოს ვეტინგს მოითხოვს, იმუქრება, რომ ხელისუფლება შეიცვლება და სასამართლოს მთლიანად გაყრიან და მოიყვანენ თავის მოსამართლეებს. ეს ადამიანი გარეთ გამოაყვანინა ზოგიერთმა ევროპელმა პოლიტიკოსმა სალომე ზურაბიშვილს“,** – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

მისივე თქმით, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ გვარამია არის სისხლის სამართლის დამნაშავე.

## დიანა მონდინო: ორი კონტინენტის გასაყარზე საქართველო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ჰაბია

**არგენტინა იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც 1919 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. არგენტინას საქართველოსთან უწყვეტი დიპლომატიური ურთიერთობები აქვს,** – ამის შესახებ არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დიანა მონდინომ ქართველ კოლეგასთან, ილია დარჩიაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.



მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის არსებული ტრადიციული მეგობრობა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება. არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ორი კონტინენტის გასაყარზე სტრატეგიული მდებარეობა საქართველოს აძლევს შანსს, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ხიდად იქცეს და ჰაბის სტატუსი შეიძინოს.

როგორც დიანა მონდინომ აღნიშნა, განვითარების გზაზე, საქართველოს ლათინური ამერიკის იმედი უნდა ჰქონდეს. არგენტინის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, საქართველოსა და არგენტინას ბევრი რამ აერთიანებს, მათ შორის, ის, რომ ორივე ქვეყანას საუკეთესო ღვინო აქვს.

**„ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რათა შევძლოთ თანამშრომლობის ახალი გზებისა და პერსპექტივების დასახვა“,** – აღნიშნა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილის არგენტინის რესპუბლიკაში ვიზიტის აღსანიშნავად, არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოფინეს ისტორიული დეკრეტი, რომლითაც 1919 წელს არგენტინის პრეზიდენტი იპოლიტო ორიგოიენი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას აღიარებს. არგენტინელმა კოლეგამ, დიანა მონდინომ, ილია დარჩიაშვილს აღნიშნული ისტორიული დოკუმენტების ასლები გადასცა.

## მილევადი ივერია: ეს საქსტატის ბრალი არ არის!

### 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 13 პროცენტით შემცირდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 13 პროცენტით შემცირდა და 42 756 ერთეული შეადგინა. გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დადასტურდა თბილისში – 12 229 კაცი, ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში – 580 კაცი.**

საქსტატის 2023 წლის მონაცემების მიხედვით, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტმა 8.2 პრომილე შეადგინა. 2023 წელს, ხუთ წლამდე ასაკის გარდაცვლილთა კოეფიციენტმა 9.5 პრომილე შეადგინა.

უწყების ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს, საქართველოში კვლავ უარყოფითი ბუნებრივი მატება გვქონდა: (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და -2 542 ერთეულით განისაზღვრა. ამასთან, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონისა.

საქსტატის ცნობით, 2023 წელს, რეგისტრირებულია 22 275 ქორწინება, რაც 14.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის შეადგენს 29.7 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის – 32.1 წელს.

2023 წელს, რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 13 664 ერთეული შეადგინა, რაც 3.1 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

## წინა წელთან შედარებით საქართველოში შობადობა ხუთი პროცენტით შემცირდა!

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 40 214 ბავშვი შეადგინა, მათ შორის 21 010 ბიჭი და 19 204 გოგოა. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით შემცირებულია ხუთი პროცენტით.**

საქსტატის ცნობით, 2023 წელს დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა იყო თბილისში – 13 697 ბავშვი, ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში – 226 ბავშვი.

უწყების ანგარიშის მიხედვით, ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, რიგით პირველი დაბადებულის წილი შემცირდა 39.1 პროცენტიდან 37.7 პროცენტამდე, მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა და შეადგინა 33.6, ხოლო მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი გაიზარდა 26.6 პროცენტიდან 27.5 პროცენტამდე.

2023 წელს ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში, წინა წელთან შედარებით, 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 26.5 პროცენტიდან 24.6 პროცენტამდე შემცირდა, 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის დედების წილი 69.6 პროცენტიდან 69.4 პროცენტამდე შემცირდა. ზრდა შეინიშნება 40 წლისა და უფროსი ასაკის დედებში, მათი წილი 4.0 პროცენტიდან ექვს პროცენტამდე გაიზარდა. 2023 წელს, დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას 26.7 წლით განისაზღვრა.

# ...ესკალაციის წასვლა დროებითი დასრულებისკენ





(პირველი გვერდიდან)

სიტყვით გამოვიდნენ ოპოზიციის მხარეს მდგომი მწერლებიც. პროზაიკოსმა **ჯემალ ქარჩხაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოში ნამდვილი დიქტატურა იყო. პატივცემულ მწერალს მხოლოდ „სამამულო" დიქტატურა ჰქოდა ნანახი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ამ შეკრებამდე საკმაოდ ქმედითი და ხელშესახები იყო. სხვა დიქტატორები მას ნანახი არ ექნებოდა – მაგალითად, სმიტის, ფორსტერის, პაკ-ჩჟონხის ან პინოჩეტის – ერთი უბრალო მიზეზის გამო: მას იმ ქვეყნებში, სადაც ეს დიქტატორები იყვნენ, არ შეუშვებდნენ. მან რატომღაც ჩათვალა, რომ ის, რაც ახლა საქართველოში იყო, იგივე გახლდათ, რაც სსრკ-ში იყო, ოღონდ, ნაციონალურ სამოსელში გამოწყობილი. ამას აბერაცია შეიძლება ვუწოდოთ. **იზა ორჯონიკიძემ** კი განაცხადა, რომ ზვიადს არაფერი არ აკლდა, არც ოჯახიშვილობა, არც განათლება, არც გარეგნობა, არც სიმდიდრე, ასევე არც ღირსებები, აკლდა მხოლოდ ყველას მიმართ სიყვარული. მე, მაგალითად, თხუთმეტი წელია, სუკ-ის აგენტს მეძახისო. არც მახსოვს, არც წამიკითხავს, არ მომისმენია, იზა ორჯონიკიძე ზვიადს სუკ-ის აგენტად მოეხსენებინა და იქნებ გაეხუმრა კიდეც ამ ფორმით, თუ ასე ახლოს იყო მასთან.

1991 წლის 19 ოქტომბერს ოპოზიციონერმა მწერლებმა ლონდონში მიმართვა გაუგზავნეს საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტს კონრადს, რომელშიც ისინი სთხოვდნენ მას, მიეღოთ ქართველი მწერლები მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის შემადგენლობაში, რადგან საქართველოში დრამატული მოვლენები ვითარდებოდა. ისინი აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირობებში ქართველ მწერალთა ერთგულება დემოკრატიის იდეალებისადმი „სასტიკ დევნას" განიცდიდა. მიმართვას ხელს აწერდნენ: ჭაბუა ამირეჯიბი, გრიგოლ აბაშიძე, დათო მაღრაძე, მორის ფიცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიგი სულაკაური, ვაჟა გიგაშვილი, ირაკლი სამსონაძე, არჩილ სულაკაური, ნუგზარ შატაიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, აკაკი ვასაძე, ჯემალ ქარჩხაძე, ლაშა თაბუკაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, ირაკლი აბაშიძე, თენგიზ ბუაჩიძე, თამაზ წივწივაძე, გურამ ფანჯიკიძე, კობა იმედაშვილი, რეზო ამაშუკელი, რომან მიმინოშვილი და სხვები.

მუხრან მაჭავარიანი ამ ამბავს გამოეხმაურა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (!48, 29.11.91). თავის წერილში მან დასვა კითხვა, რაში გამოიხატებოდა ხელისუფლების მხრიდან მწერლების შევიწროება. **„რომელიმე მათგანს სოციალისტური შრომის გმირობა ჩამოართვეს თუ კომკავშირის პრემია აჰყარეს? თანმიმდევრული პარტიული ფუნქციონერობის გამო პასუხი მოსთხოვეს თუ წარსულში ჩადენილი ცოდვები მოჰკითხეს?" ვინმემ ხელისუფლების საწინააღმდეგო რამე დაწერა და არ დაუბეჭდეს?** მუხრანი ასკვნის, რომ საქართველოს შესახებ კიდევ ერთი, ყოვლად უხამსი დეზინფორმაცია გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

მწერლების ამ ჯგუფის შეხვედრა პრეზიდენტთან 1991 წლის შემოდგომაზე კონფრონტაციულ და არათავაზიან ხასიათს ატარებდა. ზვიად გამსახურდიამ ასე მიმართა მათ: „ადგილიდან შეძახილები არ გეკადრებათ, სოლიდური ხალხი ხართ, აქ გამობრძანდით, ტრიბუნაზე, დაასაბუთეთ თქვენი აზრი და ჩვენც გაგცემთ პასუხს. ვისწავლოთ პარლამენტური გზით მოქმედება, გვეყოფა ექსცესები. ეს ხალხი ქადაგებდა, რომ პარლამენტური გზა სისულელეა, კრემლის აგენტების მოგონილი. რომ ლანდსბერგისი კრემლის აგენტია, გამსახურდია კრემლის აგენტია, ესენი ამ გზით ვერასდროს მიაღწევენ დამოუკიდებლობასო. გავიდა თუ არა ლიტვა? ყოფილან ესენი წინასწარმეტყველები და პოლიტიკოსები? როგორ შეიძლება საბჭოთა არჩევნებიო, ხომ გაიძახოდნენ? ლანდსბერგისი ლამის კრიუჩკოვის თანამოაზრედ გამოიყვანეს. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ლიტვაში ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოაწეროს ხელიო. მე რომ ამირჩიეს, მაშინ თქვეს, თითქოს იმისთვის ვარ არჩეული, რომ მეც სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოვაწერო ხელი. როგორ მოვაწერ, აგერ ნახავთ თქვენ". შემდეგ კი პრეზიდენტმა დამაფიქრებელი განცხადება გააკეთა: „აღარ შეიძლება ამდენი უგუნურისა და თავზეხელაღებულის გაძლება... სირცხვილია, ერი სოლიდარულია, როდესაც საქმე დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერის გადარჩენას ეხება".

ეს არასრული სიაა იმ მწერლებისა და კრიტიკოსებისა, რომლებიც ზვიადისა და ეროვნული ხელისუფლების კურსს მხარს უჭერდნენ: **მუხრან მაჭავარიანი** (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), **ალექსანდრე ბარამიძე** (ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი), **აკაკი გაწერელია, სერგი ცაიშვილი** (ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), **ელიზბარ ჯაველიძე, სოსო სიგუა, ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჩხეიძე, თემურ ქორიძე, გურამ პეტრიაშვილი, სერგეი სერებრიაკოვი, ბელა შალვაშვილი, ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, მაკა ჯოხაძე, გივი ძნელაძე, ბერდია ბერიაშვილი** (მოკლეს პუტჩის შემდგომ), **ოთარ შალამბერიძე, ბადრი გუგუშვილი** (თავი მოიკლა პუტჩის შემდგომ), **თინათინ მღვდლიაშვილი, ეკა ბჟალავა, ლეილა მესხი, დილარ ივარდავა, ამირან კალაძე** (მოკლეს პუტჩის შემდეგ), **ვაჟა ხორნაული, ენვერ ნიჟარაძე, აპოლონ ადონია, მიხეილ ღანიშაშვილი, მარინა ხმალაძე, ედემ კვირტია, ჯემალ დავლიანიძე, მიხეილ ჩაჩუა, მერაბ ელიოზიშვილი, ომარ გოჩელაშვილი** და სხვები.

მწერალთა კავშირში გარკვეულ მწერლებს, რომლებიც პუტჩს თანაუგრძნობდნენ, რატომღაც იმედი ჰქონდათ, რომ მუხრან მაჭავარიანი პრეზიდენტს მხარს არ დაუჭერდა და გადადგომას ურჩევდა. მუხრანმა მათ ცივი წყალი გადაასხა, როდესაც მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მისამართით განაცხადა: **მირჩევნია, ზვიად გამსახურდიასთან ერთად დავმარცხდე, ვიდრე თქვენთან ერთად გავიმარჯვოო.** მწერლების ჯგუფი გამოჩნდა პრეზიდენტთან 1991 წლის ნოემბერშიც, როდესაც სექტემბერ-ოქტომბრის მღელვარებები გადავლილი იყო. უზენაესი საბჭოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თემურ ქორიძე იგონებს: „1991 წლის ნოემბრის მიწურულს ზვიად გამსახურდიას მწერალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ეწვია. მისი თხოვნით, ამ შეხვედრას მეც დავესწარი. სამუშაო მაგიდის მახლობლად, სავარძელში ვიჯექი და საუბარს გულისყურით ვისმენდი. ლაპარაკით მხოლოდ ერთი, იმჟამად ფრიად გავლენიანი რომანისტი ლაპარაკობდა, ის და ზვიადი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და საუბარიც აუღელვებლად მიმდინარეობდა. ეტყობოდა, რომ მწერალი რომელიღაც ძალზე დაინტერესებული ჯგუფის პოზიციას გამოხატავდა. მისი სიტყვები ჩემთვის მეტად მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ზვიადი წონასწორობას ინარჩუნებდა და მათი შეხვედრა ისე დასრულდა, საუბარში არც ჩავრეულვარ. პოზიცია, რომელსაც მწერალი ახმოვანებდა, დაახლოებით, ასე ჟღერდა: საქართველოს საერთაშორისო აღიარებას ზვიად გამსახურდიას დიქტატორული მიდრეკილებები აფერხებდა. ამიტომ გარკვეული წრეები სთავაზობდნენ მას, ქვეყნის პრეზიდენტს, დროებით, ერთი-ორი წლით დაეტოვებინა ეს პოსტი და სამკურნალოდ ევროპაში გამგზავრებულიყო. ფინანსურ უზრუნველყოფას ჯგუფი თავის თავზე იღებდა. ზვიად გამსახურდიას პასუხი კი ასეთი იყო: **„მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, საქართველოში არანაირი დიქტატურა არ არსებობს. აღიარება კი იმიტომ იგვიანებს, რომ ჯერ კიდევ არ დაშლილა საბჭოთა კავშირი, ის კვლავ საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. ახლა იმპერია, ფაქტობრივად, რღვევის პირასაა მისული. ექვსი თვის განმავლობაში ის იურიდიულადაც შეწყვეტს არსებობას და აღიარებაც მაშინვე წამოვა. როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, მე მაშინვე დავნიშნავ ვადამდელ არჩევნებს და ლიტერატურულ საქმიანობას დავუბრუნდები. ხელისუფლებაში ყოფნას ნამდვილად არ ვაპირებ".**

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავის თავში სინდისის ხმა არ ჩაუხშია. ასეთნი შეშფოთებულნი უყურებდნენ მოვლენებს და ცდილობდნენ, როგორღაც პოზიტიური როლი შეესრულებინათ და ხელი შეეწყოთ შინაგანი დიალოგისა და შერიგებისთვის. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა ექიმი-კარდიოლოგი **გია აბესაძე,** რომელმაც 1991 წლის 21 სექტემბერს ყველას თვალწინ ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა პროტესტის ნიშნად ქვეყანაში მიმდინარე დაპირისპირების გამო.

ტელევიზიით, რომელიც ვეღარ ტრანსლირებდა თავისი შენობიდან, იყო საინტერესო გამოსვლები. ასეთი იყო, მაგალითად, პროფესორის, რუსთველოლოგის, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის **სერგეი სერებრიაკოვის** გამოსვლა. თავის სატელევიზიო გამოსვლაში მან მოუწოდა საქართველოს ერთიანობისკენ. **„ხომ არ გაგიჟდი,ქართველო კაცო?"** – ასე იწყებოდა მისი მიმართვა. შესანიშნავი ქართულით ავითარებდა აზრს, რომ ასეთი დაპირისპირება მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შეიძლებოდა ყოფილიყო. **„მე რუსი კაცი, გეუბნებით ამას",** – ხაზს უსვამდა ის. ამავე ინსტიტუტის დირექტორმა, რუსთველოლოგმა, პროფესორმა **სარგის ცაიშვილმა** ღია წერილი მისწერა თენგიზ კიტოვანს, რომელშიც მოუწოდებდა დიალოგისკენ და გააფრთხილა იგი, ასეთმა კონფრონტაციამ, შესაძლოა, ეროვნულ კატასტროფამდე მიგვიყვანოს, იგი ისეთ შედეგებს გამოიღებს, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელი გახდებაო. „სახალხო ფრონტის" თავმჯდომარემ **ნოდარ ნათაძემ,** კიტოვანს მოუწოდა თავის გვარდიელებთან ერთად ცხინვალის რეგიონში გასულიყო, სადაც ქართველი მოსახლეობის დაცვის რეალური საჭიროება იდგა. აკადემიკოსმა **თამაზ გამყრელიძემ** კი მოითხოვა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეწყვეტილი დიალოგის განახლება. იგი აუცილებლად მიიჩნევდა მწვავე მსჯელობის გადატანას პარლამენტში.

ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად სექტემბერში გაიმართა ასევე ხელოვნების წარმომადგენელთა მიტინგი, სადაც გამოჩნდნენ მისი მომხრე ინტელიგენციის წარმომადგენლები: **ლატავრა ფოჩიანი** (ცნობილი მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი), **ოთარ კობერიძე** (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი), **ლეილა აბაშიძე** (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი), **იზა გიგოშვილი** (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი), **მედეა ფანიაშვილი** (პიანისტი), **მაია თომაძე** (ოპერის მომღერალი), **თენგიზ კიკაჩეიშვილი** (თსუ-ის პროფესორი) და სხვები. მოლაპარაკებების პროცესიც ერთხანს თითქოს დაიძრა კიდეც.

28-29 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის. პირველ დღეს თითქოს შეთანხმდნენ განიარაღების პირობების, ფორმის, ვადების შესახებ. ხელისუფლება გარანტიას იძლეოდა, რომ ხელს არ ახლებდა არც ერთ განიარაღებულ გვარდიელს. მიუხედავად ამისა, მომდევნო დღეს ოპოზიციამ საპრეზიდენტო ინსტიტუტის დაუყოვნებლივ გაუქმება მოითხოვა და ისევ წამოაყენა ძველი პრეტენზიები. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალა. თუმცა მოლაპარაკებები გაგრძელდა საპატრიარქოში, სადაც, 2 ოქტომბერს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს თენგიზ კიტოვანმა და ვაჟა ადამიამ. მოლაპარაკებაში საპატრიარქოს მხრიდან მონაწილეობდნენ **დეკანოზი ელიზბარი** და **პროტოპრესვიტერი გიორგი**. შეთანხმება გულისხმობდა, რომ თენგიზ კიტოვანსა და ვაჟა ადამიას დაქვემდებარებაში მყოფ შეიარაღებულ ფორმირებებს დედაქალაქი უნდა დაეტოვებინათ. მათ თანხმობა განაცხადეს, ამაზე, თუმცა იქვე მუქარანარევ დათქმასავით გააკეთეს. თუ ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ რეპრესიებს გაატარებდა, ისინი იტოვებდნენ უფლებას, ემოქმედათ საკუთარი მოქალაქეობრივი და პატრიოტული მრწამსის მიხედვით.

1991 წლის 24 სექტემბერს ტელევიზიის შენობასთან ბომბი აფეთქდა, ხოლო ქვემეხიდან, რომელიც იქვე დააყენეს, განხორციელდა გასროლა კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართულებით. ამავე დღეს გაკეთებულ პრეზიდენტის განცხადებაში ნათქვამი იყო შემდეგი: **„ჩვენ არ დავსჯით დამნაშავეებს, თუ ისინი მშვიდობიანად დაიშლებიან, იარაღს ჩააბარებენ და სახლებს მიაშურებენ, ჩვენ მათ ხელშეუხებლობას ვპირდებით და ვითხოვთ, იცხოვრონ როგორც ქართველებმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა. მათი დაშლისთანავე მთავრობა შეწყვეტს საგანგებო მდგომარეობას და ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ჩვენი ხალხი დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას".** როგორც ჩანს, ამ განცხადებას გულისხმობდა მერაბ კოსტავას დედა, ქალბატონი **ოლღა დემურია-კოსტავა,** როდესაც ვაჟა ადამიასა და მის შეიარაღებულ ჯგუფს მოსთხოვა, ჯავშანტრანსპორტიორი გაეყვანათ მერაბის ეზოდან: **„მეტი რაღა უნდა ქნას ზვიად გამსახურდიამ, ევედრება, შევრიგდეთო. არ ვიცი, მეტი რაღა დემოკრატია უნდათ"...**

(გაგრძელება იქნება)

## ჩვენ თუ გვეყოფა გამბედაობა, ჩვენთან საუბარს სომხეთი კი არა თურქეთიც დაიწყებს



**რისთვის ჩავიდა საქართველოს პრემიერი ირაკლი კობახიძე სომხეთში ფაშინიანთან შესახვედრად და რა ორმხრივ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ მხარეები? სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების ფონზე, ანალიტიკოსები FOR.GE-სთან მიიჩნევენ, რომ საქართველოს როლი, როგორც შუამავალი ქვეყნის, იზრდება და ეს შესაძლებლობა ქვეყანამ კავკასიაში პოზიციების გასამყარებლად უნდა გამოიყენოს. მათი აზრით, ახლა, როდესაც მსოფლიოში და მათ შორის, კავკასიაშიც რუსეთის პოზიციები შესუსტებულია, საქართველომ მჭიდრო თანამშრომლობა თურქეთთან უნდა აწარმოოს, რადგან ის ნატოს წევრი ქვეყანაა და აზერბაიჯანთან ერთად, კავკასიაში პოზიციებს იმყარებს. მათი აზრით, სომხეთს ახლა საქართველოს გარდა სხვა მნიშვნელოვანი პარტნიორი არ ჰყავს, რაც საქართველოს როლს რეგიონში კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის.**

# ახლა ის დროა, როცა საქართველომ კავკასიაში პოზიციები უნდა გაიმყაროს!

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ საქართველოს როლის გაზრდა სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ 2020 წელს იყო შესაძლებელი. ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ეს შანსი ჩვენს მაგივრად აზერბაიჯანმა კარგად გამოიყენა, შეცვალა პოლიტიკა, გვერდში თურქეთი ამოიყენა და თავისი ამოცანები განახორციელა.

**„4 წელი გავიდა უკვე და საქართველო ლაპარაკიდან საქმეზე ჯერ არ გადასულა. რუსეთმა უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ მსოფლიოში დაიწყო პოზიციების შესუსტება და, რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიო ცდილობს, რუსეთისგან დისტანცირებას. ჩვენ ვხედავთ, რომ სომხეთმაც რუსეთისგან დისტანცირება დაიწყო. ამ ფონზე, როცა გვყავს ასეთი ძლიერი მეზობელი და მეგობარი თურქეთი, რომელიც ეხმარება არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ უკრაინასაც, მას ჩაკეტილი აქვს შავი ზღვა და პრაქტიკულად, შავ ზღვაზე თურქეთი ბატონობს, ამ დროს ოჩამჩირეში, ჩვენს ცხვირწინ სამხედრო ბაზას გვიხსნიან. ამიტომ ვამბობ, რომ ეს ფაქტორი აუცილებლად გამოსაყენებელია. მხოლოდ ცარიელი ლაპარაკი და ვიზიტები არაფერს მოგვცემს. ნებისმიერი ლაპარაკი, თითქოს საქართველოს როლი აქვს, მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი“,** – ამბობს **ზაქარეიშვილი**.

კითხვაზე – იზრდება თუ არა სომხეთისთვის დამატებით ინტერესი საქართველოს მიმართ, რადგან ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მივიღეთ, ზაქარეიშვილი ამბობს, რომ კი, რადგან სომხეთს ახლა საქართველოზე უახლოესი და მნიშვნელოვანი პარტნიორი რეგიონში არ ჰყავს.

**„საქართველოს სითამამე არ ჰყოფნის, ლიდერის პოზიცია აიღოს. ჩვენ თუ გვეყოფა იმის გამბედაობა, რომ კავკასიაში გარკვეულ როლს ვითამაშებთ, ჩვენთან საუბარს სომხეთი კი არა თურქეთიც დაიწყებს. თურქეთთან ხელს მოვაწერდით მნიშვნელოვან უსაფრთხოების და თავდაცვის ხელშეკრულებებს; მათგან მივიღებდით უსაფრთხოების გარანტიებს. ვხედავთ, რომ ჩვენ შუაში ვართ. რადგან თურქეთს სჭირდება შავ ზღვაზე და კავკასიაში გავლენები, ჩვენ კი ორივეგან ვართ, ამიტომ ამ შანსს არ ვიყენებთ და ხელიდან ვუშვებთ, თურქეთი ხმას ვერ იღებს, რადგან საქართველოსგან ამის სურვილი არ ჩანს. სომხეთს სხვა შანსები არა აქვს ჩვენს გარდა. საქართველო მათთვის ევროპული მიმართულებით ერთადერთი გამოსავალია. საქართველო უნდა იყოს ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა. მეტი პრეტენზიები უნდა გვქონდეს. ასე დამალული და თავჩაღუნული ხომ ვერ ვიქნებით სულ. რუსეთი კავკასიაში გავლენებს კარგავს და ეს შანსი გამოსაყენებელია“,** – **ამბობს** ზაქარეიშვილი.

ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი** კი ამბობს, რომ ამ წლების განმავლობაში რუსეთმა შეძლო და კავკასიაში ისე შექმნა სიტუაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო განვითარების მაგივრად ომში და დაპირისპირებაში ჩართო. ალადაშვილი ამბობს, რომ ახლა რუსეთი კვლავ ცდილობს, მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ, დაპირისპირება უშუალოდ სომხეთსა და აზერბაიჯანის საზღვარზე გააჩინოს. ამიტომ, ამ კონტექსტში, თბილისს აქვს უნიკალური შანსი, რომ მოლაპარაკებებში მედიატორის როლი შეასრულოს.

**„ძალიან კარგია, რომ საქართველოს პრემიერი სომხეთში ჩავიდა და გარკვეულ მნიშვნელოვან თემებზე საუბარი შედგა. ახლა რუსეთს არავინ აღარ ენდობა, არც აზერბაიჯანი და არც სომხეთი. საქართველოა მნიშვნელოვანი ქვეყანა, მით უმეტეს კანდიდატის სტატუსის შემდეგ ჩვენი როლი სომხეთისთვის კიდევ უფრო გაიზარდა.**

**მთიანი ყარაბაღის პრობლემა მეტნაკლებად სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გაირკვა. სომხეთი და აზერბაიჯანი ახლა სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას ცდილობენ. ამ ფონზე მისასალმებელია, რომ ორივე მხარესთან საქართველოს ხელისუფლება კარგ მეზობლურ ურთიერთობას აწარმოებს. ახლა სამხრეთ კავკასიაში ომის დაწყება, პირველ რიგში, რუსეთს აწყობს და მისთვის ძალიან კარგი იქნება, თუკი კონფლიქტი ახლა სომხეთსა და აზერბაიჯანის საზღვრებზე დაიწყება. კრემლი სომხეთის დასავლეთის ლიანდაგებზე გადასვლას ეწინააღმდეგება, ამიტომ მათ სურთ გაიმეორონ 90-იან წლებში რაც ხდებოდა და ეს ორი ქვეყანა ისევ ომში ჩააბან, რუსეთმა კი ე.წ. სამშვიდობო მისია ითამაშოს, რაც ასევე ჩვენც თავს მოგვახვიეს და რა როლი ითამაშეს კავკასიაში, ვნახეთ. თუ ჩვენ ვიქნებით ამ ორ ქვეყანას შორის მომრიგებელი მხარე, ეს ჩვენს პოზიციებს კავკასიაში გააძლიერებს. აქ არის მთავარი ის, რომ ჩვენს რეგიონში ომი აღარ იყოს. ჩვენი ქვეყანა მიმზიდველია იმით, რომ აზია-ევროპაში გამავალი დერეფანი არსებობს. ასევე დაინტერესებას ჩვენს მიმართ ჩინეთიც იჩენს. ამიტომ ჩვენ ინტერესშიც არის, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სიმშვიდე იყოს და ეს დერეფანი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად გამოვიყენოთ“,** – ამბობს **ალადაშვილი.**

**ელზა პაპოშვილი**




# ემიგრანტების ხმებისთვის ბრძოლა დაიწყო!

**ოპოზიცია უკვე რამდენიმე თვეა ცდილობს საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის თემა პოლიტიკური სპეკულაციების საკითხად აქციოს. ამის გამო, ოპოზიციამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ინტერპელაციით პარლამენტშიც დაიბარა. ოპოზიციაში ამბობენ, რომ ხელისუფლება სპეციალურად ცდილობს საზღვარგარეთ დაბალი აქტივობა იყოს. მმართველ გუნდში კი აცხადებენ, რომ ყველა ქალაქში 30 ქართველის გამო საარჩევნო უბნებს ვერ გახსნიან, ეს არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია.**

ოპოზიციაში ამტკიცებენ, რომ არაფერში წერია, აშშ-ში, სადაც საქართველოს ძალიან ბევრი მოქალაქეა, სულ რაღაც სამი-ოთხი ადგილი გვქონდეს, სადაც ხმის მიცემა შეიძლება. მათი თქმით, 2020 წელს აშშ-ში ოთხი უბანი იყო გახსნილი: ნიუ-იორკში ორი, ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოში კი თითო-თითო. ამიტომ სხვა შტატებში მცხოვრებ ქართველებს ხმის მიცემა გაუჭირდათ.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ოპოზიიცის აქტიურობის მთავარი მიზეზი ემიგრანტების ხმების მოპოვებაა. მათ აქვთ იმედი, რომ ემიგრანტებში ოპოზიციური განწყობა უფრო მაღალია და ამ ხმების დაკარგვა არ სურთ.

## მეტი უბანი – მეტი ხმა ოპოზიციურ ყულაბაში!

**„უცხოეთში საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი ამომრჩევლებისთვის მათი რეგისტრაციის მისამართი არის საქართველოს შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის/საკონსულო დაწესებულების მისამართი. ამრიგად, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები იხსნება დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ან საკონსულო დაწესებულებებში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“**, – ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი**.



მისი თქმით, „საკონსულო დაწესებულების გახსნა კომპლექსური საკითხია, არსებობს საერთაშორისოდ დამკვიდრებული წესები და რეგულაციები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ამ პროცესის წარმართვა“.

მისივე თქმით, საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღება მასპინძელი ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებები, ადგილსამყოფელი ქვეყნის რეგულაციები და ა.შ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების მიღების ვადები, დაწესებულების ადგილსამყოფლის შერჩევის წესები და სხვ. როგორც წესი, დაწესებულების გახსნასთან დაკავშირებული წინადადების განხილვაში ჩართულია არაერთი უწყება და კონსულტაციები შესაძლოა, რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი მიმდინარეობდეს.

უმრავლესობის ლიდერი **მამუკა მდინარაძე** ამბობს, რომ 50 მოქალაქისთვის საარჩვენო უბნის გახსნა ვერ მოხერხდება და მსგავსი პრეცედენტი არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

ანალიტიკოსი **პეტრე მამრაძე** ამბობს, რომ სამწუხაროდ, ოპოზიციის ასეთი მცდელობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ემიგრანტებში მიხეილ სააკაშვილის მომხრეების რაოდენობა დიდია. მამრაძე ამბობს, რომ პირადად ის შესწრებია ძალიან აკადემიურ წრეებშიც კი



„ნაცმოძრაობა“ იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, სააკაშვილის ციხიდან დახსნის ილუზიაც რომ არ შექმნან, იმ ორთოდოქს ამომრჩეველსაც დაკარგავენ, რომლებიც ხმას მხოლოდ მიშას გამო აძლევენ“



# ზურაბიშვილს თუ ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი არ ექნა, მიშას არ შეიწყალებს!

**„ნაციოანლური მოძრაობა“ კვლავ ცდილობს, საკუთარი ამომრჩევლის მიერაც კი მივიწყებული მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების თემის აქტუალიზებას და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზე ზემოქმედებას ახორციელებენ. მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება პარტიაში დასრულებულად გამოაცხადეს. სააკაშვილის პირადმა წარმომადგენელმა სოფო ჯაფარიძემ, პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად, ათი ათასობით ხელმოწერა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიიტანა.**

მათი მტკიცებით, მეხუთე პრეზიდენტს მესამე პრეზიდენტის გათავისუფლების თხოვნით, ორასი ათასი ადამიანი მიმართავს. ზურაბიშვილს მოუწოდებენ, დაასრულოს მიხეილ სააკაშვილის „პოლიტიკური ტყვეობა“ და გაათავისუფლოს „ივანიშვილის პირადი მძევალი“.

საპარლამენტო უმრავლესობიდან კი ნაციონალებს შეახსენეს, რომ ყოფილ პრეზიდენტს დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს თავად მიხეილ სააკაშვილმაც იცის, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი უფლებების დასაცავად, სტრასბურგს მიმართავდა.

ამასთანავე **მამუკა მდინარაძე** ამბობს, რომ „თუ სალომე ზურაბიშვილს მეტი რეიტინგი ექნება, რომ გაზომავს პიარ კონსულტანტი **ჯერემი როზნერი**, არ გაათავისუფლებს სააკაშვილს. თუ სააკაშვილს მეტი რეიტინგი ექნება, ის უფრო საჭირო კაცი აღმოჩნდება მათთვის და მაშინ შეიწყალებს. მოკლედ, რასაც დაავალებენ, იმას გააკეთებს სალომე ზურაბიშვილი“...

„ხალხის ძალის“ წევრი **სოზარ სუბარი** კი ამბობს, რომ სააკაშვილმა თავადვე იცის, რომ კრიმინალია, ამიტომ სტრასბურგის სასამართლოს არ მიმართავს.

**„სააკაშვილი არის ძალიან მძიმე კრიმინალი. თვითონ რომ არ იცოდეს, რომ ის არის ძალიან მძიმე კრიმინალი და ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, ამდენი ხნის განმავლობაში, მიმართავდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.**

**ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც, პრაქტიკულად, სხვა ქვეყნის ინტერესებით მოქმედებს, შესაბამისად, დარწმუნებულიც ვარ იმაში, რომ ის გააკეთებს იმას, რა ბრძანებასაც მიიღებს. ჯერჯერობით, ეტყობა, ბრძანება არ მიუღია“,** — განაცხადა **სოზარ სუბარმა.**

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე**, რომ ამ აქტიურობით, რომელიც თავისთავად ფუჭია და რეალურად არაფრის მომტანი, ნაციონალები ცდილობენ პოლიტიკური დღის წესრიგი შექმნან. პარალელურად, ორთოდოქს ნაცებს აჩვენებენ, რომ სააკაშვილი კი არ დაავიწყდათ, არამედ მის გასათავისუფლებლად რას აღარ აკეთებენ.

**„ერთადერთი თემა, რომელიც მიშას მადიდებლებში ჭრის, სააკაშვილის გათავისუფლების საკითხია. „ნაციონალური მოძრაობა“ იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ სააკაშვილის ციხიდან დახსნის ილუზიაც რომ არ შექმნან, იმ ორთოდოქს ამომრჩეველსაც დაკარგავენ, რომლებიც ხმას მხოლოდ მიშას გამო აძლევენ. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის ფაქტორს, არა ერთხელ მითქვამს, რომ ეს ქალბატონი გავლენის აგენტია, მის პატრონს ყურებით ყავს დაჭერილი, ამიტომ როცა დასჭირდებათ სააკაშვილს ან შეაწყალებინებენ ან არა. გამომდინარე იქიდან სააკაშვილის გათავისუფლება ხელს რამდენად შეუწყობს რადიკალურ პროცესებს ან მისი ციხეში დატოვება რას მისცემთ, ამის მიხედვით აამუშავებენ ზურაბიშვილის ფაქტორს. ახლა რა მნიშვნელობა აქვს ამ ხელმოწერებს მიუტანენ თუ არა. ეს უფრო, ალბათ, ერთმანეთთან ძალის დატოლების გამო დასჭირდათ. ხან ხაზეიშვილი იჭიმება მიშას დავიხსნიო და ხან ეს მეორე ქალბატონი სოფო ჯაფარიძე, რომელიც საერთოდ მესამე ჯგუფის ლიდერი გახდა. ანუ, თავად ნაციონალებშიც კი ჯგუფებად არიან დაყოფილები. სააკაშვილი იმდენად არ ენდობა მათ, რომ პარტიაში პირადი წარმომადგენელი დანიშნა. ამ ქალბატონმაც ხომ უნდა აჩვენოს, რომ რაღაცას აკეთებს და მანაც ეს მოიფიქრა“,** — ამბობს **ქადაგიძე.**

მისივე თქმით, ამის პარალელურად, ეს არის საზოგადოების აზრის ფორმირება. მოსახლეობის შეჩვევა იმაზე, რომ შესაძლოა, ზურაბიშვილმა სააკაშვილის შეწყალება ისედაც გადაწყვიტოს.

**„მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ თუკი ოპოზიციამ და მისმა პატრონებმა დაინახეს და დარწმუნდნენ, რომ არჩევნებს აგებენ, სააკაშვილი წინასაარჩევნოდ, სიტუაციის რადიკალიზებისთვის გაათავისუფლონ. მოაწყონ რაღაცა აქციები და ილუზიის შესაქმნელად ამას სააკაშვილი სათავეში ჩაუყენონ. თუმცა მის წინააღმდეგ საქმეები მიდის და პროკურატურას ისევ ციხეში, უკან დაბრუნება შეუძლია. თუმცა რაღაცა პროცესებისთვის მის გათავისუფლებას მაინც მოახერხებენ. აი, ამ სცენარის დამუშავებასაც არ გამოვრიცხავ“,** — ასკვნის **ქადაგიძე.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერებით გათავისუფლება ძალიან დიდი გულუბრყვილობაა ან მართლა სააკაშვილი გონიათ იმ დონის გულუბრყვილო, დაიჯეროს, პრეზიდენტი ამის შემდეგ მისი შეწყალების გადაწყვეტილებას მიიღებს. ძაბირაძე ამბობს, რომ ანალოგიური ხელმოწერების შეგროვება ხელისუფლებასაც შეუძლია არშეწყალების მოთხოვნით, თანაც უფრო მეტისაც.

**„არ ვიცი, რა ვთქვა, ალბათ, სააკაშვილის შეწყალება ხელმოწერებზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, აქამდე პრეზიდენტი ხომ შეიწყალებდა. ან ხელისუფლებასაც ხომ შეუძლია იგივე — პირიქით, არშეწყალების მოტივით შეაგროვოს უფრო მეტი ხელმოწერა. სააკაშვილის შეწყალება ზურაბიშვილს არ აწყობს პოლიტიკურად და ცდილობს რაღაცა მიზეზი გამონახოს, ალბათ, რის გამოც ამ გადადგმულ ნაბიჯს გაამართლებს. მან კარგად იცის, რომ ყველაზე მეტად სააკაშვილის შეწყალება მას დააზარალებს, ამიტომ ამის გაკეთება უჭირს. თუმცა, რაღაცას მაინც იტოვებს, ვაითუ, საჭირო გახდეს. მეორე მხრივ, სააკაშვილის გათავისუფლება არჩევნების წინ ხელისუფლების წისქვილზე წყლის მიშვება იქნება.**

**პოლიტიკური ველი კიდევ უფრო პოლარიზებული გახდება და არჩევნები კვლავ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ოცნებას“ შორის წავა. ამ დროს კი ყოველთვის „ოცნება“ იგებს. ამიტომ ეს აქტიურობა მხოლოდ შიდა პარტიული მოხმარებისთვის მგონია. რეალურად, არც იმას გამოვრიცხავ, რომ მისი გათავისუფლება თავად ნაციონალებშიც არ უნდათ. რაღაცა მოჩვენებითი აქტიურობაა, რომ აი, სააკაშვილს დაანახონ მის გასათავისუფლებლად რაღაცას აკეთებენ — ესაა და ეს, მთელი ამ ამბის დედააზრი. სხვას, აქ მე ვერაფერს ვხედავ. ზურაბიშვილს თუ მნიშვნელოვანი არგუმენტი არ ექნება, მას არ შეიწყალებს. თუმცა, ვნახოთ, გამორიცხული არაფერია“,** — ამბობს **ძაბირაძე.**

როგორ იცავენ სააკაშვილს და მცდარი წარმოდგენა აქვთ იმ რეალობაზე, რაც მის თუნდაც პატიმრობასთან დაკავშირებით არსებობს.

**„დაკვირვებული ვარ და უშუალოდ შესწრებულიც, მიხეილ სააკაშვილი და დედამისი, გიული ალასანია როგორ ამუშავებენ ინფორმაციულად ჩვენს ემიგრანტებს. განსაკუთრებით მაღალი წრის საზოგადოების დარწმუნებას ახერხებენ. აქ ვგულისხმობ სამეცნიერო და სხვა სფეროში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებს. ბევრჯერ უთქვამთ, რატომ ასამართლებენ რაღაცა პიჯაკების გამო პრეზიდენტსო. ანუ, ზუსტი ინფორმაციაც არა აქვთ და ხშირია ამ მწირი ინფორმაციის გამო მცდარი წარმოდგენების შექმნა.**

**ეს არის ძალიან ცუდი ამბავი, რადგან ნაციონალებმა შეძლეს და ქვეყნის გარეთ სრულიად სხვა ინფორმაცია შექმნეს სააკაშვილის მმართველობის შესახებ. არადა ქვეყნის შიგნით ყველამ კარგად იცის მისი საქმენი საგმირონი. როცა ამ ხალხს ვუხსნი და ვეუბნები, რომ სააკაშვილის დროს ქვეყანას ჯერ მხოლოდ სამასი ათასი პრობაციონერი ჰყავდა, - რას ამბობ მართლაო? — უკვირთ. ანუ ეს ვაკუუმი, სამწუხაროდ, არსებობს, რაც გამოსასწორებელია. ამიტომ არის ოპოზიცია მოწადინებული, რომ ეს საზღვარგარეთ არსებული ოპოზიციური ხმები არ დაიკარგოს“,** — ამბობს **მამარაძე.**

მისივე თქმით, ის ასევე ბევრჯერ შესწრებია სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებს და მათ თანაშემწეებს, როგორ ჰყოლიათ გარშემორტყმული ნაციოანლები, რომლებიც ქვეყანაში არსებულ ამა თუ იმ საკითხზე სრულიად სხვა ინფორმაციას აწვდიან.

**„თავიდან ვაკვირდებოდი და მინდა პირდაპირ ვთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება შეცდა იმაში, როცა ამ პროცესებს არ დააკვირდა და ნაციონალებს ემიგრანტებთან არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ხელი არ შეუშალა. მე მქონია ხელისუფლებასთან ამაზე საუბარი და მითქვამს ბევრჯერ, რომ ამერიკაშიც და ევროპაშიც დიპლომატიური კორპუსების მიერ ბევრია სამუშაო. სააკაშვილის და მისი სისტემის ძლიერი მხარე ყოველთვის იყო პიარი. როცა ეს ქვეყანაში აღარ გაუვიდათ, ამის ამუშავება ქვეყნის გარეთ დაიწყეს. ამიტომაც არის, რომ გარეთ რადიკალურად სხვა ვითარებაა და ქვეყნის შიგნით სრულიად სხვა“,** — ამბობს **პეტრე მამრაძე.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძეც** მიიჩნევს, რომ ოპოზიციის აქტიურობის მთავარი მიზანი ემიგრანტების ხმების არდაკარგვაა, რომლებიც უფრო ოპოზიციურად არიან განწყობილები. საყვარელიძე ამბობს, რომ სამწუხაროდ, სააკაშვილმა მოახერხა და ემიგრანტების მიმხრობა შეძლო. ამიტომაც იყო, რომ მუდმივად სხვადასხვა ქვეყნებში მათ ხვდებოდა და მათთან ერთად ქვეყანაში დაბრუნების გეგმაც კი ჰქონდა.

**„რასაც ვაკვირდები, ძირითადად, ევროპაში და ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ანტირუსული რიტორიკის მატარებლები არიან. მათი აზრის ფორმირება სააკაშვილმა სწორედ ამ რიტორიკის მეშვეობით შეძლო. ის ჩვენი ქვეყნის გარეთ, არა მხოლოდ ჩვენი ემიგრანტების, არამედ ჩვენი პარტნიორების იმაში დარწმუნებას ახერხებს, რომ რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნებაა. ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ამის ნამდვილად სჯერათ. ამიტომ, სააკაშვილის ხელისუფლების იქ მცხოვრები გარემოცვაც ამაზე მუშაობს. ამიტომ არის, რომ ოპოზიციას იმედი აქვს, რაც უფრო ბევრი უბანი გაიხსნება და ბევრი ემიგრანტი მიიღებს მონაწილეობას, მით უფრო მეტი ხმები ოპოზიციის ყულაბაში გადაინაცვლებს. ამიტომ იკლავენ თავს, თორემ ჩვენი მოქალაქეების დარდი კი არა აქვთ. სამწუხაროდ, ეს რეალობაა და ბოლო წლების განმავლობაში ნაციონალებმა ეს შეძლეს“,** — ამბობს **საყვარელიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# მე ყველაფერი მახსოვს,

**ძალადობაში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა. ზოგს ძალადობა მხოლოდ მოკვლა, ფიზიკური შეურაცხყოფა და უხეში სიტყვები ჰგონია. ძალადობაა, როცა სადმე არ უშვებ, რადგან გინდა სულ შენს გვერდით იყოს. ძალადობაა, როცა ისე ჩაცმა-დახურვას აიძულებ, როგორც შენ გსიამოვნებს. მოკლედ, ყველაფერი ძალადობაა, რასაც ადამიანს ძალით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აკეთებინებ.**



# არა ძალადობას!!!

**ძალადოგა ქალზე, გავშვზე, კაცზე მხოლოდ ვერშემდგარ, თავად ძალადოგასა და უსიყვარულოგაში გაზრდილ ადამიანეგს შეუძლიათ. კარგად დააკვირდით მოძალადეეგს, როგორი საწყალი, კომპლექსიანი, ვიწრო თვალსაწიერის მქონე არსეგეგი არიან.**

ოჯახში ძალადობა სერიოზული, ფართოდ გავრცელებული ფორმაა მსოფლიო მასშტაბით და საკმაოდ მწვავედ დგას საქართველოშიც. მისი რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია. მოძალადე უმეტესწილად მამაკაცია, მსხვერპლის როლში კი ქალები არიან. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ბევრ ერში და ეროვნებაში არსებობს წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ. ამ როლის განსამტკიცებლად ფსიქიკურად არაჯანსაღი ადამიანები (რაიმეზე დამოკიდებულნი) ხშირად მიმართავენ ძალადობას ოჯახის სხვა წევრების მიმართ, იქნება ეს ქალი, მოხუცი თუ ბავშვი.

მართალია, დღეს უკვე ღიად და ბევრს საუბრობენ ქალთა მიმართ ძალადობაზე და ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ,,ჭირთა თქმა“ აუცილებელია იმისთვის, რომ პრობლემის სათავე ვიპოვოთ და გამოსავალი მოვძებნოთ; თუმცა, უმეტესობა, ვისზეც იძალადეს ან ძალადობენ, იშვიათად იღებს ხმას – დუმილის მანტიით სარგებლობს. ამასაც თავისი მიზეზები აქვს – შიში – შემდგომში უარესი ძალადობისა – ან დაუცველობა შენიანის მხრიდან სოციუმში გაბატონებული აზრის გამო, რადგან საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები (მაგ. ზოგიერთს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ეს შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეულ გარემოებებში). მოძალადეები ის მშობლებიც არიან, – „ამ ერთხელ მოითმინე“, „ხალხი რას იტყვის“, და აუზედურებენ თავიანთ შვილებს, ამიტომ, მსგავსი შემთხვევების გამოვლენის კუთხით ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება პოლიციისთვის დროული შეუტყობინებლობის საკითხი.

ძალადობა ის პრობლემაა, რომლის მოგვარებისთვისაც სახელმწიფომ სერიოზული ღონისძიებები უნდა გაატაროს. ამისთვის მნიშვნელოვანია გადავხედოთ ჩვენს „ღირებულებებსა“ და „ფასეულობებს“, ვუწამლოთ გაუნათლებლობასა და სიბნელეს, შევქმნათ უფრო მეტად ჰუმანური გარემო, მაცხოვრის სწავლების შესაბამისად, – მეორე ადამიანს მოვექცეთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა მოგვექცნენ, რომ ნატვრად არ დაგვრჩეს მხოლოდ – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“... მსხვერპლის დამცავი მექანიზმების რეალიზება შესაძლებელია გავხადოთ მეტი ქმედითი ნაბიჯებით, მეტი ძალისხმევით და უფრო მძლავრად ავამოქმედოთ კანონი, რომელიც მსხვერპლს დაიცავს, რომ ჩვენ გვერდით დამცირებული, შეურაცხყოფილი ადამიანები აღარ გვეგულებოდეს ან ფატალური შემთხვევები არ გვედოს წინ, რადგან ხშირად მსხვერპლს კანონი ვერ იცავს (ამის მაგალითები მრავალია).

დანაშაულის პრევენცია მხოლოდ სასჯელით შეუძლებელია, დამნაშავენი ხომ ვერ აცნობიერებენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, კვლავ და კვლავ ჩადიან იმავეს, საბოლოოდ კი მივდივართ სისხლის სამართლის დანაშაულამდე. თუმცაღა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მნიშვნელოვანი პროგრესია ის, რომ პრობაციის ბიუროს დღეს აქვს ძალიან კარგი რეაბილიტაციის პროექტი ფსიქოლოგიის კუთხით, მაგრამ სანამ არ გახდება მოძალადე პრობაციონერი, ის არ გადის არანაირ კურსს. სახელმწიფო კი ძირითადად მაინც მსხვერპლთა დაცვაზეა ორიენტირებული. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავრობისა და სხვადასხვა მხარის მიერ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად განხორციელებული ინტერვენციები თანდათან იწვევს ქცევის ცვლილებას, თუმცა ოჯახში ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად მაინც რჩება. ის ცოდნა და ინსტრუმენტები, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამგვარი ძალადობის აღმოფხვრისთვის შემუშავდა, კიდევ უფრო სისტემატურად და ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული.

**ეს ჩემთვის ძალზე სენსიტიური თემაა... თავად ვიყავი ოჯახური ძალადოგის მსხვერპლი (მეუღლის მხრიდან) წლეგის წინ და ვიყავი ერთ-ერთიც, ვინც დუმდა. ხმა მხოლოდ ერთი წლის წინ ამოვიღე, ამის გიძგი კი იმღამისეული სიზმარი იყო – მძაფრი და საშინლად ცხადი... საჯაროდ ამოთქმაც მერე ასეთი იყო ჩანახატად: „არ ვწერ იმის გამო, რომ სიგრალული იგრძნონ ადამიანეგმა, მინდა უგრალოდ თანაგანცდა ჰქონდეთ“ ჩემნაირ დღეგამწარეგულეგს კი მაგალითი მივცე, რომ ხმა ამოიღონ, არ შეშინდნენ, დაგმონ და გაემიჯნონ ძალადოგას ნეგისმიერი ხერხითა და კანონით!**

ვწერ ახლა ამას და თითები თრთის, გულის გამალებული ბაგუნი ყურებში მესმის და მართალია, ვიცი, რომ უკვე აღარ ვარ ირეალურში, აღარც ის უსუსური, დაუცველი, მაგრამ მაინც მკლავს და მტანჯავს იქ – სიზმარეულში იმ სიცხადით განცდილი და რა ვქნა...

მახსოვს, ერთხელ ერთი ამბავი აგორდა ერთ ცნობილ ადამიანზე, რომელიც წლების შემდეგ გამოვიდა ეთერით და საჯაროდ ისაუბრა ოჯახურ ძალადობაზე (აქაც მეუღლის მხრიდან). მაშინ ბევრი კიცხავდა, ამდენი წლის მერე რაღა დრო იყო ამის მოსაყოლადო, მათი ურთიერთობის ისტორიას... ზუსტად არ ვიცი მე, მაგრამ ჩემს საკუთარს კი ვიტყვი: – დროს არ მიაქვს ის ტკივილი! ის შენშია მუდამ, ვიდრე არსებობ, ვიდრე ცოცხალი ხარ... უბრალოდ ილექება შიგნით... და დროდადრო გახსენებს თავს... აი, სიზმარს ხომ მაინც ვერ გაექცევი... 13 წელი გავიდა განქორწინების შემდეგ და... არ ყოფილა საკმარისი იმ ყველაფრის დასავიწყებლად... კიდევ გავა ალბათ 13 ან მეტიც... სადამდეც მიწერია სიცოცხლე და... ეს სულ ჩემში იქნება... ვიდრე მახსოვრობა აქვს გონს...

და უნდა მივუბრუნდე სიზმარს, რატომაც დავიწყე და საიდანაც დავიწყე...

გამოგვეხმაურეთ!

– ღამე... მოგვდევს მე და ჩემ შვილს მამამისი... გააფთრებული... გაავებული... გამხეცებული... ღამეა ბნელი... ბავშვი პატარაა და ხელი მაქვს ჩაჭიდული... ვერ მორბის ისე... მივათრევ... ხელს საშინლად ვუჭერ და თრთის,.. მაგრამ იმდენად დიდია გაქცევისა და თავის დაღწევის სურვილი მისგან, რომ... როგორღაც მომყვება თავისი პატარა ფეხებით... ავრბივართ ჩვენი მომდევნო ბინის საფეხურებზე (შვიდსართულიანია) – თითქმის გვეწევა, გვესმის ღრიალი და არაადამიანური ხმა, რომლის გაგონებაც ასე ატანს გულ-გვამში... აი, სახურავსაც ავაღწიეთ, გადავდივართ და მეორე სადარბაზოს მხრიდან ახლა თავქვე ვეშვებით საფეხურებზე... ბავშვი ეცემა, ვაყენებ და ისევ მივქრივართ... ასე გაგრძელდა მომდევნო ბინებშიც... ბოლოს სახანძროს (მეზობლადაა ცხადშიც) ეზოში შევრბივართ და... ორ მეხანძრეს ვთხოვ, რომ დაგვმალოს... შევყავართ პატარა ოთახში, რომელიც სამორიგეოცაა და მოსასვენებელიც და... ერთი საწოლის ქვეშ ბავშვს ვტენი, მეორეში მე ვძვრები... ვცახცახებ... ცოტა ხანში ისმის მისი გაცოფებული ხმა, გადიან და ეუბნებიან, რომ აქ არავინ არის... არ უჯერებს და შემორბის... ვხედავ მის ფეხებს, როგორ უახლოვდება ჩემ საწოლს და... არ ვიცი, რა მომდის, შიშისაგან ეს-ესაა უნდა დავკარგო გონება,.. თუმცა დედობრივი გრძნობა მაინც აღმატებულია შიშზეც კი, და თუ რამეა, ბავშვი უნდა დავიცვა, როგორც შევძლებ ან სადამდეც შევძლებ...

კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი და ისე ხმამაღლა ვსუნთქავ, ეს-ესაა გაიგებს, გვიპოვის და... გამეღვიძა! ოფლში ვიწურები... გული ლამის ამომივარდეს... ვწერ ახლა ამხელა ტექსტს და ისევ ის მდგომარეობა მაქვს შინაგანად, ისეთივე სიმძაფრითა და სიცხადით... თუმცა, ეს სიზმარი მხოლოდ ერთი ნაგლეჯია იმ უზარმაზარი, ვეებერთელა განცდილებიდან - ერთი პაწაწკინტელა ნაგლეჯი მხოლოდ...

უამრავი ახლობელი წაიკითხავს ახლა ამ წერილს, ვინც შემსწრე იყო ჩვენი ცხოვრების ისტორიიდან... ისეთებიც, ვისაც თუ არ უნახავს, გაგებული მაინც აქვს...

არ ვიცი, რა ძალამ მომცა ახლა ამის გამბედაობა, რომ ეს ყველაფერი დამეწერა... ეს მხოლოდ ერთ-ერთი მორიგი სიზმარია წლების წინ განცდილ-გადატანილიდან და რამდენი ასეთი ტკივილიანი დღე მახსოვს. ცხადია, 13 წლის თანაცხოვრების განმავლობაში... ან რამდენი სიზმარია ამ 13 წლის მანძილზეეე... უუჰ!..

ყოველ საკუთარ თავთან მარტო დარჩენისას რომ უკუაგდებ იმ მოგონებებს და სხვა რამეზე გადაგყავს ფიქრის გორგალი, სიზმრად ამას ხომ ვერ ახერხებ... იბრძოლეთ, ქალბატონებო!!! მეუღლეებო!!! დედებო!!! შვილებო!!! ეგ თქვენი სიცოცხლეა – ერთი სიცოცხლე და ასეთი ხანმოკლე. ნუ შეეგუებით ძალადობას (არანაირ ძალადობას!!!)

მოიშორეთ გამოუსადეგარი ფიქრები, რომ „ბავშვს მამა უნდა!“ – ბავშვს ჯანსაღი ატმოსფერო უნდა ოჯახში!!! თორემ საკუთრივ ვიცი, რომ რაც მეტს გაჩუმდებით და დაითმენთ, მით მეტად გაფართოვდება შემდგომ მოგონებებად ქცეული საზარელი, საძულველი გორგალი და... ყოველ სიზმრად ან უბრალო გახსენებად ქვეშ დაგიტანთ მისი სიცხადე, რის გამოც გვიწევს ამ ყველაფრის ატანა, ადამიანებო?!.. არაფრის გამო! შენ არ ხარ დამნაშავე,.. ეს წყობაცაა დამნაშავე და მენტალობაც, თუმცა „დამნაშავეც“ ის სიტყვა არაა, უფრო მახინჯი ალბათ, რომ ასეთ ვითარებაში ადამიანებს სათანადოდ ვერ იცავს და ძალიან ხშირად მესმის მსგავსი ისტორიები ტრაგედიით დამთავრებული.

აქვე იმასაც დავძენ, რომ თანდათანობით შევძელი და მოვიპოვე სიმშვიდე (რითიც დღეს ვამაყობ) და არაფრისდიდებით არ დავთმობ მას!

**წლეგის შემდეგ ისევ შევძელით კონტაქტი გვქონოდა ჩვეულეგრივად, ადამიანურად და ცივილურად, გავშვის გამო... ცუდს ვერც ახლა ვუსურვეგ და მან იცის ეს. უგრალოდ... უგრალოდ ამ ჯერზე არ მომცა სირაქლემის პოზაში ყოფნის უფლეგა პირდაფჩენილმა სიზმარმა...**

**ნანა კევლიშვილი.**

**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია.**

## გრიგორიადისის გამოძიების საქმე დასრულდა... პროცესი 8 აპრილისთვისაა გადადებული

**თბილისში 7, 8, 9 მარტს გამართულ აქციებზე პოლიციელზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ფაქტებზე ბრალდებულ ლაზარე გრიგორიადისის საქმეზე სასამართლო პროცესი 8 აპრილამდე გადაიდო. სასამართლო პროცესის გადადების მიზეზი ლაზარე გრიგორიადისის სხდომაზე გამოუცხადებლობა გახდა.**

ლაზარე გრიგორიადისმა სხდომაზე დისტანციურად ჩართვის სურვილი გამოთქვა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. მოსამართლის განცხადებით, ეს დაშვებულია მხოლოდ მაშინ, თუ ბრალდებულს ჯანმრთელობის რაიმე პრობლემა აქვს, რაც ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. მოსამართლე ლაზარე გრიგორიადისის სხდომაზე გამოცხადებას ითხოვს. საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ დასკვნითი სიტყვების წარმოთქმა დარჩა. მხარეების მიერ ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, მოსამართლე განაჩენის გამოცხადებას შეძლებს.



## სისხლიანი ტრაგედია ქობულეთში

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭახათში ძმამ ძმა დაჭრა.** გამოცემის ცნობით, დაჭრას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. მამაკაცს ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებული. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა.

## თელაველი ბინათ-მძარცველები დაკავებულია

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, კახეთში ქურდობის ბრალდებით 1982 წელს დაბადებული შ.ჯ. დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ თელავში, სხვადასხვა დროს, ოთხ ბინაში უკანონოდ შეაღწია, საიდანაც ძვირფასი ნივთები და თანხა მოიპარა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ შ.ჯ. ბრალდებულის სახით დააკავა. სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია ბინებიდან მოპარული ნივთები. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ჰეი, თქვენ... „მოღალატენო“!

**ყოველთვის ვიყავი და მომავალშიც ვიქნები რადიკალიზმის, არაკორექტული გამონათქვამების, ადამიანის პიროვნული შეურაცხყოფის წინააღმდეგი!**
**ძალიან მაღიზიანებს პრიმიტიული აზროვნებაც, მითუმეტეს, თუ ამ პრივიტივიზმის მაღალ ფასეულობად წარმოჩენას ცდილობენ.**



წინასწარ ვაცხადებ: არანაირი ურთიერთობა არ მაკავშირებს **„ალტ-ინფოს“** ბრმა მხარდამჭერთა მიერ შეჩვენებულ პიროვნებებთან. თუ არ ვცდები, ერთისთვის მხოლოდ ხელი მაქვს ჩამორთმეული, მეორეს კი საერთოდ არ შევხვედრივარ. ამდენად, ჩემი პოზიცია მათ უპირობო მხარდაჭერად არ ჩაითვლება!

უბრალოდ ვწუხვარ, რომ ადამიანური ურთიერთობების ყველა ზღვარი გადავლახეთ და ძალიან ადვილიად შეგვიძლია გავიმეტოთ ერთმანეთიც – უცერემონიოდ მივაკრათ „მოღალატის“, „ვირთხის“ იარლიყი და სოციალურ ქსელში ფეხის ხმას აყოლილთა თუ პრიმიტიულად მოაზროვნეთა შეურაცხყოფის ობიექტად ვიქცეთ!

**ახლა პირდაპირ საქმეზე:**

ამ რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა საკმაოდ აჟიტირებული ბლოგერის, **ბექა ვარდოსანიძის** სტატუსი, სადაც იგი მოღალატურ აქტად აფასებდა **„ალტ-ინფოდან“ თენგიზ ომანიძის** გადასვლას ტელეკომპანიაში: **„სოლიდარობა მშვიდობისთვის“**.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საზოგადოებრივი პლატფორმა **“სოლიდარობა მშვიდობისთვის“** რამდენიმე თვის წინ დარეგისტრირდა პოლიტიკურ პარტიად, რომელსაც კონსერვატიული ნიშა უჭირავს, **თენგიზ ომანიძის** გადასვლა შეფასდა, როგორც კონკურენტი პარტიის ტელევიზიის მხარდაჭერა და **„ალტ-ინფოს“** ღალატი!

ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრება კომენტარის სახით იქვე დავაფიქსირე. რა თქმა უნდა, ჩემი გფანსხვავებული პოზიცია „ალტ-ინფოს“ მხარდამჭერებს არ მოეწონათ, თუმცა, ყოველთვის მივიჩნევ, რომ ჩემი პოზიცია, არის ჩემი პოზიცია! იქვე განვმარტავ, მავანთა მხრიდან ასეთი მიდგომა დათვური სამსახურის გაწევა იყო თავად **„ალტ-ინფოსთვის“**.

მეგონა “მოღალატეთა“ განქიქება ამით ამაოიწურა, თუმცა, შევცდი.

გუშინ, ამ თემაზე **„ალტ-ინფოს“** აქტიური მხარდამჭერის ქ-ნ მაია დვალიძის სტატუსი გამოჩნდა: „**მადლობა ყველა ვირთხას, ვინც დროულად გაეცალა „ალტ-ინფოს“. თხოვნა მაქვს, თუ კიდევ ხართ ვინმე ეგეთი, დროულად წადით!“**

კომენტარებით გაირკვა, რომ ამ „ვირთხა“-ში „**ალტ-ინფოდან“ „სოლიდარობა მშვიდობისთვის“** ტელეკომპანიაში გადაბარგებული თენგიზ ომანიძე იგულისხმებოდა. თუმცა, იგივე იარლიყი მიაკერეს დავით ახვლედიანსაც, რომელიც ადრე წავიდა **„ალტ-ინფოდან“** და არა მარტო ტელეწამყვანად, არამედ, პარტია **„სოლიდარობა მშვიდობისთვის“** პოლიტსაბჭოს წევრადაც მოგვევლინა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანი თავისუფალია საკუთარ არჩევანში – **ის იქ წავა, სადაც უკეთეს პირობებს შესთავაზებენ.** სხვა საკითხია, თუ იდეური თანამებრძოლია, თავიდანვე იდგა პარტიის სათავეებთან და უმიზეზოდ გაიქცა სხვა პარტიაში, თან პარტიის საიდუმლოებები გააყოლა ხელს! რამდენადაც ვიცი, არც ერთ ზემოთ დასახელებულ „მოღალატის“ და „ვირთხის“ შემთხვევაში ამ უკიდურესობასთან არ გვაქვს საქმე. დანარჩენი მიზეზი უკვე საინტერესო არ არის. მავანთა ბრალდება, რომ **ახვლედიანმა** და **ომანიძემ** ფულზე „გაყიდეს“ ღირსება, საკმაოდ არაკორექტული ნათქვამია!

**მე არც ერთის დამცველად არ გამოვდგები და არც ვაპირებ, უბრალოდ, ჩემთვის ყოვლად მიუღებელია უცერემონიოდ „მოღალატის“ იარლიყის მიწებება ადამიანებისთვის – ასეთი მიდგომა არა მარტო ანგრევს ადამიანებს შორის ურთიერთობას, არამედ მომაკვდინებლად აისახება ერის სასიცოცხლო ინტერესებზეც.**

გავიხსენოთ, რა დამანგრეველი შედეგი მოჰყვა „მოღალატის“ იარლიყების ცვენას დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოში, როგორ გაიხლიჩა ერი დაპირისპირებულ ჯგუფებად, რასაც დღეს ძალიან მწარედ ვიმკით!

ვიყოთ ობიექტური: **ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტია, ის ყოველთვის იქ მიიჩქარის, სადაც უკეთესად იგრძნობს თავს – გამონაკლისი იდეალისტები არიან, რომლებიც არ ისე ბევრია ჩვენს სინამდვილეში.**

და ბოლოს: არ შეიძლება ადამიანს დაამადლო ის სიკეთე, რომელიც თავის დროზე გაუკეთე – ეს ყველაზე დამამცირებელია თავად ბრალმდებლისთვის.

რატომ ვამბობ ამას?!

ქ-ნ **მაია დვალიძის** სტატუსის კომენტარებში ხაზგასმით ეწერა, რომ **ომანიძე** და **ახვლედიანი** უმადურები აღმოჩნდნენ.

**„ლაპარაკი ძლივს ისწავლა „ალტ-ინფოზე“, რომ მოძლიერდა, გაიქცა“.**

„**რაც მოსკოვში გავუშვით და „ალტ-ინფოს“ სახელით ლავროვისთვის შეკითხვის დასმის საშუალება მივეცით, გაპოპულარდა“** – ეს ბრალდება კი **დავით ახვლედიანის** მისამართით გაჟღერდა.

ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკის მანძილზე, რამდენიმე გაზეთის, ჟურნალისა და საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი და რედაქტორი ვიყავი. იმდენი ახალბედა ჟურნალისტი გამიზრდია და დამიფრთიანებია, ყველა ჩემგან წასულს ღალატი რომ დავაბრალო, მითუმეტეს, ჩემი ძალისხმევა დავამადლო, საკუთარი საქციელი არა თუ სხვას, მეც არ მომეწონება!



ასე რომ, დაივიწყეთ სიტყვა „ღალატი“ . თუ ორი ადამიანის, თუნდაც ხუთის ან ათის, წასვლაზეა დამოკიდებული **„ალტ-ინფოს“** და **„კონსერვატიული მოძრაობის“** ბედი, ცუდად ყოფილა მათი საქმე!

**ზაურ ნაჭყებია,**
**პუბლიცისტი. 22.III.2024.**

# უკრაინაში ომი რუსებმა „წმინდად“ გამოაცხადეს!



**უკრაინის წინააღმდეგ ომი „წმინდად“ გამოაცხადეს „მსოფლიოს რუსული სახალხო კრების“ ყრილობაზე, რომელსაც მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე ხელმძღვანელობდა.**

**„კრებამ“, რომელსაც ფორმალურად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირი არ აქვს, თუმცა მის მუშაობაში ჩართულია ბევრი სასულიერო პირიც, 25-ე ყრილობა 27 მარტს გამართა მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში. ყრილობის მიერ მიღებული განაწესი, რომლის ადრესატი რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებაა, მოსკოვის საპატრიარქოს საიტზე გამოქვეყნდა.**

**განაწესის პირველივე თავი ეხება უკრაინაში „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“, რომელიც მოხსენიებულია „კიევის დანაშაულებრივი რეჟიმის და მის უკან მყოფი კოლექტიური დასავლეთის წინააღმდეგ რუსი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპად“. ნათქვამია ისიც, რომ ეს „ბრძოლა“ 2014 წლიდან მიმდინარეობს „სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის მიწებზე“.**

**განაწესის თანახმად, „სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისით სპეციალური სამხედრო ოპერაცია წარმოადგენს წმინდა ომს, რომელშიც რუსეთი და მისი ხალხი წმინდა რუსეთის ერთიანი სულიერი სივრცის დაცვით ასრულებენ შემკავებლის მისიას და მსოფლიოს იცავენ გლობალიზმის მოწოლისა და სატანიზმში ჩავარდნილი დასავლეთის გამარჯვებისგან“.**

**განაწესის მიხედვით, „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დასრულების შემდეგ, „თანამედროვე უკრაინის მთელი ტერიტორია უნდა შევიდეს მხოლოდ რუსეთის გავლენის ზონაში“ და „სრულად უნდა გამოირიცხოს“ ამ ტერიტორიაზე „რუსოფობიური, რუსეთისა და მისი ხალხისადმი მტრული პოლიტიკური რეჟიმის არსებობა“.**

**განაწესის მეორე თავში საუბარია „რუსულ სამყაროზე“ (რუსსკიღ მირ), როგორც „სულიერ და კულტურულ-ცივილიზაციურ ფენომენზე“, რომლის „საზღვრები არსებითად უფრო ფართოა, ვიდრე დღევანდელი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო და დიდი ისტორიული რუსეთის საზღვრები“.**

**„მსოფლიოს რუსული სახალხო კრების“ თავმჯდომარე პატრიარქი კირილეა. მისი მოადგილეა ულტრაკონსერვატორი და ნაციონალისტი მილიარდერი ბიზნესმენი, უკრაინაში პრორუსი სეპარატისტების ერთ-ერთი სპონსორი და ტელეკომპანია „ცარიგრადის“ დამაარსებელი კონსტანტინ მალოფეევი. ის დასავლეთის სახელმწიფოების მიერაა სანქცირებული. მალოფეევზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.**



# კვლევებში ევროპელი სპეციალისტები ჩაერთნენ

**სამტრედია-გრიგოლეთის პირველ მონაკვეთზე, მდინარე რიონზე დაზიანებული მშენებარე ხიდის აღსადგენად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, საპროექტო კვლევებისთვის ევროპელი სპეციალისტები მოიწვია.**

ქართველი, ავსტრიელი და გერმანელი ექსპერტებისგან დაკომპლექტებული საერთაშორისო ჯგუფი, ხიდის აღდგენის პროექტის შესამუშავებლად, სტრუქტურულ, გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და სხვა ტიპის კვლევებს ჩაატარებს. მშენებარე ხიდის ბურჯისა და მალების ჩავარდნის მიზეზების დასადგენად საექსპერტო კვლევა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ 2023 წლის დეკემბერში დაასრულა. მოცემულ ეტაპზე, მოწვეული ევროპელი ექსპერტები კომპლექსურ საპროექტო-საველე კვლევით სამუშაოებს ჩაატარებენ, რის საფუძველზეც შემუშავდება ხიდის აღდგენის პროექტი.



# ქუთაისის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე – კომფორტულად, 5 ლარად!

**28 მარტიდან, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე და პირიქით, მგზავრებს 3 უახლესი SHUTTLE BUS მოემსახურება.**

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი, Euro ემისიის სტანდარტის ძრავის მქონე, M3 კატეგორიის ავტობუსები შეისყიდა. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების გენერალური დირექტორის განცხადებით, ავტობუსები შატლის ტიპის, განკუთვნილი მხოლოდ ქალაქის ცენტრამდე აეროპორტის მგზავრის გადაყვანისთვის და პირიქით.

**„ქუთაისში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, იმისთვის, რომ ჩვენი აეროპორტის მგზავრი მარტივად და კომფორტულად გადაადგილდეს ქალაქამდე აუცილებელი იყო მუნიციპალური ავტობუსების დანიშვნა. ტენდერში გამარჯვებულ კომპანია ,,ჯ-თი გრუპ“-თან გავაფორმეთ ხელშეკრულება. რის საფუძველზე, დღეიდან, ქუთაისის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე და პირიქით, ივლის ჩვენ მიერ დანიშნული ოფიციალური შატლის ტიპის ავტობუსები. ეს არ იქნება მუნიციპალური ტრანსპორტი. იქნება კონკრეტულად აეროპორტიდან ქალაქამდე და პირიქით, განკუთვნილი ტრანსპორტი, რომელსაც აქვს შესაბამისი ბრენდინგი, რომ ჩვენი აეროპორტის მგზავრებმა მარტივად იცნონ“,** – განაცხადა ირაკლი ქარქაშაძემ.



# ნეტავ ვის კანონს იღებს საფრანგეთი,

## ანუ მაკრონი კრემლის აგენტია?

**საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ემანუელ მაკრონის პარტიის ინიციატივას, რომელიც გარე ჩარევასთან ბრძოლაზეა მიმართული.** ინიციატივას მხარი 171-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი კი 25 იყო.

**„სასწორზე დევს ჩვენი სუვერენიტეტის, დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობების, ასევე ქვეყნის ინტერესების დაცვა“**, – განაცხადა მაკრონის პარტიის წარმომადგენელმა, **საშა ულიემ**, რომელიც ამ საკითხზე მთავარი მომხსენებელი იყო.

**ინიციატივა ითვალისწინებს ოთხწლიან სასამართლო პროცესს, რაც დაზვერვის სამსახურებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ ალგორითმული თვალთვალის ტექნიკა, რომელიც ამჟამად მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლისთვის გამოიყენება. ეს ღონისძიება თავდაპირველად მკაცრად გააკრიტიკეს მემარცხენე პარტიებმა, რომლებიც შიშობდნენ, რომ ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს ინდივიდუალურ თავისუფლებებზე.**

**დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს „უცხო აქტორის ინტერესებში მოქმედი წარმომადგენლების“ რეესტრის შექმნას, რომელსაც „საზოგადოებრივი ცხოვრების გამჭვირვალობის უმაღლესი ორგანო“ გააკონტროლებს. რეესტრში მოხვდებიან ლობისტები, კომუნიკატორები და თანხების შემგროვებლები, რომლებიც მთავრობების, სახელმწიფო კომპანიებისა და უცხოური პოლიტიკური პარტიების სახელით მოქმედებენ.**

# „სახელმწიფო საზღვრის დარღვევა ნიშნავს განადგურებას!“

ლუკაშენკომ მეზობელ ქვეყნებთან საზღვარზე „შესაძლო პროვოკაციებზე“ მკაცრი რეაგირების ბრძანება გასცა და განაცხადა, რომ საზღვრის ყველა დამრღვევი უნდა განადგურდეს.



**„საჯაროდ ვიტყვი: ნებისმიერი პროვოკაცია იარაღის საშუალებით უნდა აღიკვეთოს. მათთან ხუმრობას აზრი არ აქვს. სახელმწიფო საზღვრის დარღვევა ნიშნავს განადგურებას“** – განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა. ლუკაშენკო ოშმიანის რაიონში იმყოფებოდა და ტერიტორიის ის მონაკვეთი დაათვალიერა, სადაც სამხედრო ნაწილების საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებლად ღონისძიებები მიმდინარეობს.

# გაიცანით 37-მილიონიანი სამეფო ალ-მაღრიბი



**მაროკო, ანუ ალ-მაღრიბი, როგორც მას არაბები უწოდებენ, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე მდებარე ხუთი სახელმწიფოდან, ერთ-ერთია. დასავლეთიდან მას, ატლანტის ოკეანე, ხოლო ჩრდილოეთიდან, ხმელთაშუა ზღვა ესაზღვრება. მაროკოს უძველეს მიწაზე, ისევე, როგორც ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში, უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ბერბერის ტომის ხალხი. მეშვიდე საუკუნიდან, ჩრდილოეთი აფრიკა არაბებმა დაიკავეს. სწორედ მაშინ მოხდა ბერბერების არაბებთან ასიმილაცია. მე-11-12 საუკუნეებში, მაროკო, ბერბერულ-მუსლიმური სექტის, ალ-მორავიდების და მავრულ-ესპანური დინასტიის, ალ-მოჰადების ერთობლივ იმპერიას წარმოადგენდა, რომელსაც, ეგვიპტის გარდა, მთელი ჩრდილოეთი აფრიკა და, თითქმის მთელი პორტუგალია და ესპანეთი ეკავა. იმ დროს, ევროპაში, მავრიტანული კულტურა გავრცელდა.**

1666 წლიდან დღემდე, მაროკოს სულთანატს ალა-უიტების დინასტია მართავს. დინასტიის გვარი, წინასწარმეტყველ მუჰამედის ბიძაშვილის, სიძისა და მემკვიდრის, ალი-იბნ-აბუ-ტალიბიდან მოდის. მე-17-19 საუკუნეებში, მაროკო მეკობრეების ქვეყნად ითვლებოდა, რადგან სანაპირო ქალაქებს მეკობრეები მართავდნენ. 1911 წლის საიდუმლო გარიგებით, საფრანგეთმა და ესპანეთმა მაროკო გაიყვეს. საფრანგეთის 44-წლიანი ოკუპაციისგან მაროკომ თავი 1956 წელს იხსნა, დამოუკიდებლობა მოიპოვა და მას მაროკოს სამეფო დაერქვა. დღევანდელი მაროკო, სადაც 37 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, დუალისტური მონარქიაა, ანუ კონსტიტუციური მონარქიის შიგნით, პირველი პირი მონარქია.

1999 წლიდან, მაროკოს მისი 60 წლის მეფე, მუჰამედ-მეექვსე-ბენ-ალ-ჰასანი მართავს. ფორბსის ინფორმაციით, იგი აფრიკის ყველაზე მდიდარი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მონარქია, რომლის ქონება 8-მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მუჰამედ-მეექვსე რაბათში, მაროკოს მეფის, ჰასან-მეორის ოჯახში დაიბადა. ერთი ძმა და ორი და ჰყავს. როგორც ყველაზე უფროსს მათ შორის, მას ბავშვობიდანვე ამზადებდნენ ტახტზე ასასვლელად, აძლევდნენ რა შესაბამის რელიგიურ და პოლიტიკურ განათლებას. ოთხი წლისა, სამეფო კარის ყურანის სკოლაში შეიყვანეს. ასწავლიდნენ ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებს. მომავალმა მონარქმა, ჯერ რაბათის სამეფო კოლეჯი, შემდეგ კი, რაბათის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

სტაჟირება მთავარი ევროკომისრის ადმინსტრაციულ სამსახურში, ბრიუსელში გაიარა. 1993 წელს, ნიცას უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. ევროპაში ყოფნისას, პლეიბოის ცხოვრების წესით ტკბობის გამო, მას მამასთან ურთიერთობა დაეძაბა. მუჰამედს ღამის კლუბებსა და სამორინეებში დროის ტარება უყვარდა. მონარქმა-მამამ უფლისწულს სამშობლოში დაბრუნება მოსთხოვა და ქვეყნის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და შესაბამისი სამსახურების კოორდინატორად დანიშნა. მალე, გენერლის წოდებაც მიიღო. მამის თხოვნის მიუხედავად, სამშობლოში დაბრუნებული უფლისწული მაინც არხეინ ცხოვრებას ეწეოდა. მეგობრებს დედაქალაქის ცნობილ ღამის კლუბ „ამნეზიაში“ მასპინძლობდა ხოლმე, სადაც საიდუმლო გვირაბის გავლით მიდიოდა. 1999 წელს, 70-წლის ასაკში, გულის უკმარისობით, მაროკოს მეფე, ჰასან-მეორე გარდაიცვალა. იმავე დღეს, ტახტზე მუჰამედ-მეექვსე-ბენ-ალ-ჰასანი ავიდა, რომელმაც მამისეული ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და ამერიკასთან დაახლოვების პოლიტიკა განაგრძო, მაგრამ, მამისგან განსხვავებით, ქვეყნის დემოკრატიზაციის გზას დაადგა. მუჰამედის, როგორც დასავლეთში განსწავლული არაბი სუვერენის, პირველი ბრძანება ქვეყნის ყველა პოლიტპატიმრის ამნისტია იყო. მთავრობას ოპოზიციის თვალთვალი აუკრძალა და ახალი საოჯახო კოდექსი დააკანონა, რომლის მიხედვით, მაროკოს ქალებმა, ქორწინება-განქორწინებისა და ბავშვზე მზრუნველობის საკითხებში ახალი უფლებები და გარანტიები მიიღეს.

2011 წელს, სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად, ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო ტალღა მაროკოშიც აგორდა, რომელიც ისტორიაში არაბული გაზაფხულის სახელით შევიდა. მაროკოს მოსახლეობა მეტ დემოკრატიზაციასა და მეფის უფლებების შეკვეცას ითხოვდა. ყოყმანის შემდეგ, მეფე რეფერენდუმის ჩატარებას დაყაბულდა. ხალხის 98-მა პროცენტმა ხმა დემოკრატიზაციას მისცა. ამიერიდან, მთავრობასა და პარლამენტს მეტი უფლებები მიეცათ. მეფე და მისი ოჯახი აღარ ითვლება მიუწვდომელ სიწმინდეად, თუმცა, ძალაში რჩება მისი ხელშეუხებლობა.

მონარქს პარლამენტის დათხოვნაც აეკრძალა. პარლამენტის გაშვება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერით არის შესაძლებელი. ახალი კანონის მიხედვით, მეფეს, მთავრობის მეთაურად, მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულის დანიშვნა შეუძლია. მაროკოს ოფიციალურ ენად ბერბერული გამოცხადდა.

2013 წელს, მაროკოს მეფე სკანდალში გაეხვა, რამაც მოსახლეობის საპროტესტო ტალღა გამოიწვია. ესპანეთის საამებლად, მან დამნაშავე ესპანელ მოქალაქეთა ამნისტია გამოაცხადა, რომელიც ცნობილ პედოფილ, დანიელ გალვანსაც შეეხო. პროტესტის შედეგად, მუჰამედ-მეექვსემ გალვანის ამნისტიაზე უარი თქვა, მაგრამ გალვანმა ესპანეთში გაასწრო. მაროკოს მეფის თხოვნით, ესპანეთის მართლმსაჯულებამ ისევ დააპატიმრა გალვანი.

საგარეო პოლიტიკაში მუჰამედი ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეა. 2004 წელს, ამერიკამ მაროკო არა ნატოს წევრ მოკავშირეთა სიაში შეიყვანა. მუჰამედის მეფობის ხანაში, მაროკო ისრაელს დაუახლოვდა და, ბოლოს, მთლიანად აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან.

მუჰამედის მეფობის დროს, დასავლეთ საჰარას სტატუსზე დავის გამო, ალჟირთან კონფლიქტი გამწვავდა. შეგახსენებთ, დასავლეთი საჰარა ტერიტორიაა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, რომლის სამართლებრივი სტატუსი და სუვერენულობის საკითხი, ჯერ კიდევ, განხილვის საგანია. ეს ნახევარმილიონიანი ტერიტორია მაროკოს სამხრეთით მდებარეობს, რომელიც, წინათ, ესპანეთის კოლონია იყო. ბოლოს, მაროკოს გადაეცა, მაგრამ ალჟირის მთავრობის წაქეზებით, მოსახლეობამ მაროკოს მთავრობა განდევნა. მეფე მუჰამედი განქორწინებულია. მისი ყოფილი მეუღლე და მისი ორი შვილის დედა, ლაილა სალმა-ბენანი, ცნობილი ბერბერული ოჯახის პრინცესაა. მეფის მემკვიდრეები მისი შვილები, პრინცი მულაი-ჰასანი და პრინცესა ლალა-ხადიჯა არიან. როგორც მამამისს, მეფე-მუჰამედსაც, გულის უკმარისობა აწუხებს. მას უკვე ორჯერ დასჭირდა კარდიო-ქირურგიული ოპერაცია.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# ბაიდენმა პუტინს ყასაბი კიდევ ერთხელ უწოდა



**„იცით, რამდენი მილიარდერია ამერიკაში? ათასი. იცით, საშუალოდ რამდენს იხდიან ფედერალურ გადასახადებს? 8.2 პროცენტს. ვისაც მილიარდერებთან ვაჭრობა სურს, მათი საგადასახადო განაკვეთი? გამოიცანით? ისინი რომ 25 პროცენტს იხდიდნენ – ეს ნამდვილად არაა ძალიან მაღალი განაკვეთი – იცით, ეს რას მოგვცემდა? 400 მილიარდ დოლარს მოიზიდავდა მომდევნო 10 წლის განმავლობაში.**

**წარმოიდგინეთ, რისი გაკეთება შეგვიძლია ამით. ჩვენ შეგვიძლია, ფუნდამენტურად შევამციროთ ფედერალური დეფიციტი; შეგვიძლია შინმოვლის უზრუნველყოფა; თანმიმდევრულად მეტის გაკეთებას შევძლებდით, მათ შორის საბოლოოდ შევძლებდით უკრაინის დაცვას ყასაბი პუტინისგან“**, – განაცხადა **ჯო ბაიდენმა.**

# უნგრეთში ორბანის გადადგომას ითხოვენ

**26 მარტს უნგრეთის დედაქალაქში ათასობით ადამიანი ქვეყნის პრემიერის ვიქტორ ორბანისა და მთავარი პროკურორის გადადგომის მოთხოვნით მას შემდეგ გამოვიდა, რაც მთავრობის ყოფილმა წევრმა ორბანის უფროსი თანაშემწე კორუფციის საქმეში ჩარევაში დაადანაშაულა.**

მანამდე, პიტერ მაგიარმა ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც იგი ყოფილ ცოლსა და უნგრეთის ყოფილ იუსტიციის მინისტრს, იუდით ვარგას ესაუბრება. ჩანაწერში ვარგა ორბანის შტაბის უფროსის თანაშემწეების მიერ კორუფციის საქმიდან ზოგიერთი ნაწილის ამოშლის მცდელობას აღწერს.

პიტერ მაგიარმა, რომელიც ორბანის დასამარცხებლად ახალი პარტიის შექმნას გეგმავს, ჩანაწერი საკუთარ Facebook გვერდზე გამოაქვეყნა. მასში ვარგა ამბობს, რომ ორბანის კაბინეტის მინისტრმა ანტალ როგანმა პროკურორებს შესთავაზა, თუ რომელი დოკუმენტები უნდა წაშლილიყო ზემოხსენებული კორუფციის საქმიდან. ჩანაწერის გავრცელების შემდეგ პროკურატურაში განაცხადეს, რომ „პროკურატურის დოკუმენტებში ჩარევა ან მათი განადგურება ფიზიკურად და ლეგალურად შეუძლებელია“.



# რუსეთთან თანამშრომლობას 143 ლატვიური კომპანია აგრძელებს

**140-ზე მეტი ლატვიური საწარმო რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობას აგრძელებს და თავის პროდუქციას კვლავ სთავაზობს რუსულ ბაზარს. ამ საწარმოების საქონლის რუსეთში ექსპორტი გასულ წელს, 2022 წელთან შედარებით, მხოლოდ 2%-ით შემცირდა.**

**ვინ არიან ეს კომპანიები და აპირებენ თუ არა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას?**

ლატვიის ეკონომიკის სამინისტროს ვებგვერდზე რუსეთსა და ბელარუსში პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიების სახელები დღემდე ხელმისაწვდომია. ბოლო გამოქვეყნების შემდეგ, სია უფრო მოკლე გახდა. თუ 2022 წლის დეკემბერში სიაში 350-მდე საწარმო იყო, გასულ კვირას მომხდარი განახლების შემდეგ, მასში 143 საწარმო რჩება, რომლებიც, ძირითადად, საკვების, ტანსაცმლის, მედიკამენტების და ავტონაწილების მწარმოებლები არიან. სიაში შემავალი კომპანიების საკმაოდ დიდი ნაწილი (50) ლოჯისტიკით არის დაკავებული. 26 კომპანია აწარმოებს ან ყიდის ლითონის გადამამუშავებელ აღჭურვილობას, კონდიციონერებს.

# რისმაგ გორდეზიანის ოქროს ნამცეცები

## „ეტრუსკები — ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“



**წინ მიდევს აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის შესანიშნავი ნაშრომი – „ბერძნული ცივილიზაცია“, რომელიც, არ ვიცი, უკვე მერამდენედ მაქვს გადაკითხული და მისი ყოველი წაკითხვისას არ შეიძლება, გულს არ აღელვებდეს ამ წიგნის ყოველი სტრიქონი, განსაკუთრებით კი ის, რომელიც ამ ცივილიზაციაში ქართველური მოდგმის ხალხის როლსა და მნიშვნელობას ეხება. ესაა ოქროს ნამცეცები ჩვენი წარსული ისტორიისა და მათი ბრწყინვალება არა მხოლოდ ფასეულია, როგორც ოქრო, არამედ ისაა წყარო სინათლისა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის გაღებულ კარებს გვიშუქებს.**

ურთიერთობა წინარებერძნულ და შემდეგ ბერძნულ კულტურასთან, ესაა საკუთარი შესაძლებლობის პროექცია, ესაა ლტოლვა და სურვილი იმყოფებოდე წრეში,რომლითაც შემოსაზღვრულია ძველი მსოფლიოს ცივილიზაცია. აქ დგომას მხოლოდ სურვილი არ შველის... „ყველაფერი მხოლოდ საქმეაო“ აკი ამბობს მოციქული და ჩვენი წინაპრებიც, საქმითა თუ სიტყვით, მიილტვოდნენ, რათა დამკვიდრებულიყვნენ ამ წრეში. დამკვიდრების ეს ხანგრძლივი პროცესი ურთულეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რომლის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის დაპირისპირება ანტიოქიის პატრიარქთან. ის, რომ ვინმე გაგიღებს ამ შემოსაზღვრული წრის კარებს და გულით მიგიღებს, ფუჭი ოცნებაა და სხვა არაფერი. გრიგოლ ბაკურიანის დანაბარები, რომ პეტრიწონის მონასტერში არ შემოეშვათ ბერძნები,იმ მოტივით, რომ **„არიან გუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი...“** ესაა ერთი მხარე ამ ურთიერთობისა, მაგრამ აქვე წარმოდგენილია მისივე თეზა ამ ურთიერთობის აუცილებლობისა: „ნებით ღმრთისაითა ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსარებელნი და მოწაფენი მათნი“. ბერძნული შემოქმედებითი გენიის გვერდით დგომა, მათთან მყოფობა და მოწაფეობა ეს მუდამ დიდი სახელი იყო ჩვენთვის და ესაა ინტერესი, რომელიც შეუძლებელია, არ აღელვებდეს, როგორც მეცნიერს, ასევე ჩვენი ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს.

**სწორედ ამ განცდით სავსემ, ამ დღეებში, ბატონი ვალერი ასათიანისაგან საჩუქრად მივიღე ბატონი რისმაგ გორდეზიანისა და მისი ყოფილი მოწაფის ქალბატონ ეკატერინე კოპახიძის ახლახან გამოცემული ნაშრომი – „ეტრუსკები – ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“.**

როგორც ნაშრომის შესავალშია ნათქვამი – „ესაა ერთგვარი გაგრძელება ანტიკური ცივილიზაციების იმ სერიისა, რომლის პირველი სამი ტომი ბერძნულ ცივილიზაციას მიეძღვნა“. ვჩქარობ აღვნიშნო – საზოგადოება კარგად იცნობს ამ ნაშრომებს და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა რისმაგმა მის მიერ გაწეული შრომით, დიდი წვლილი დასდო ბერძნული კულტურის წარმოშობის და განვითარების ისტორიის კვლევის საქმეს. სავსებით ცხადია, რომ ქართველ მკითხველს,ბერძნული კულტურის ერთიანი კორპუსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ასეთი სრულყოფილი და ახალი მეცნიერული მიღწევებით გამდიდრებული ნაშრომები აქამდე არ ჰქონია.

რაც შეეხება ეტრუსკებსა და მათ ქვეყანას ეტრურიას, რომელსაც ეს ნაშრომი ეხება, მართალია ეთნიკური ნათესაობა არ აკავშირებდათ ბერძნებთან და ისინი იტალიის ტერიტორიაზე მხოლოდ ძვ. წ. X- IX საუკუნეებში ჩანან მოსულები,სამაგიეროდ ეტრუსკთა იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ბერძნულმა გარემომ და „ბერძნულ სამყაროსთან ინტენსიური კონტაქტების დაწყებამ ბიძგი მისცა მათ კულტურულ აღმავლობას“. ეტრუსკები აქტიურად ჩაეწერენ ბერძნულ კულტურულ გარემოში,მათგან გადმოიღეს დამწერლობა,კარგად შეითვისეს საზღვაოსნო საქმიანობა, განავითარეს საქალაქო ცხოვრება და მხარი გაუსწორეს ბერძნულ კულტურას,თუმცა, არასდროს დაუკარგავთ თავიანთი ინდივიდუალობა და როგორც კულტუროსანმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა მედიტერანული ცივილიზაციის განვითარებაში. საგულისხმოა ისიც, რომ ეტრუსკებმა დიდი როლი ითამაშეს რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რომლის სამი უკანასკნელი მეფე ეტრუსკული წარმომავლობისა იყო. ეტრურიის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ თავის მწვერვალს VI საუკუნეში მიაღწია, თუმცა V საუკუნისათვის მისი ძლიერება შეირყა, რომის პერმანენტული შემოტევების შედეგად ძვ. წ. 90-88 წლებში საბოლოოდ დამარცხდა და დაექვემდებარა რომაულ სამოქალაქო სამართალს. ეტრუსკების ცივილიზაციამ ათ საუკუნეზე ცოტა მეტი მოიცვა, მერე დატოვეს ისტორიის ასპარეზი და მათი ეთნიკური ერთობა განილია რომაელი ხალხისა და იტალიკურ ტომების ერთობაში.

ეტრუსკების წარმოშობის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ამათგან გაცილებით მეტ ნდობას იმსახურებს ჰეროდოტეს ცნობა, რომელიც მათ ძირებს მცირე აზიას უკავშირებს. ზოგადად მიღებული შეხედულების თანახმად კი ეტრუსკულ ეთნოსში რამდენიმე კომპონენტის შეიძლება არსებობდეს და ამ კომპონენტში იგულისხმება მათი კავკასიური ძირებიც, რომლის შესახებ ერთ-ერთმა პირველმა თავისი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა დანიელმა მეცნიერმა ვ. თომსენმა. ამ ეტაპზე არსებული არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერებისაგან გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეტრუსკების ეთნოგენეზის ჩამოყალიბებაში, ძვ.წ II ათასწლეულში, მცირე აზიიდან მიგრირებულ ტალღასთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობდნენ შავიზღვისპირეთიდან წამოსული ემიგრანტები.

**როგორც ცნობილია, ენობრივი მონაცემები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო სადაც შემონახულია არქაიკის ყველაზე ნათელი ფაქტები. ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცნობილმა მეცნიერის ჯონ ფურნიეს აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ „ეტრუსკული ენა მსგავსად პელასგურისა,არსებით მიმართებას ავლენს ქართველურთან“. ამ მოსაზრებამ თავისი გაშლა და გაფართოება ჰპოვა რისმაგ გორდეზიანის ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომებში როგორებიცაა: „ეტრუსკული და ქართველური“, მედიტერანული და ქართველური“, „წინარებერძნული და ქართველური“.**

**ვიტყვი, რომ ახალი ნაშრომი „ეტრუსკები – ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“ ფაქტობრივად გაგრძელებაა ამ კვლევებისა და წარმოადგენს უაღრესად წარმატებულ მცდელობას საფუძველი გაუმაგროს წინარექართველური სუბტრატის არსებობას ევროპული ცივილიზაციის მესაძირკვლეთა წიაღში. მე არ გახლავართ ენათმეცნიერი და არ გავკადნიერდები, რაიმე შეფასება მივცე ამ ნაშრომში მოტანილი ენათმეცნიერულ მოსაზრებებს, თუმცა,სიამოვნებით ვიკისრებ მკითხველს მივაწოდო რამოდენიმე ძირითადი დასკვნა ბატონი რისმაგ გორდეზიანის ნაკვლევისა, რომელიც ამ მოსაზრებებს ასაბუთებს: მეცნიერის აზრით: 1. „კავკასიური, უპირატესად ქართველური ტომების ერთი ნაწილის მიგრაციის შემდეგ ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ეგეიდა ანატოლიის რეგიონში ეგეოსური სუბტრატის ბაზაზე უნდა წარმოქმნილიყო მინოსურ-დასავლეთანატოლიურ-პელასგურ ენათა ქართველურის მონათესავე ჯგუფი“. 2. „ეტრუსკულის ქართველურთან მიმართებას აქვს სისტემური ხასიათი და იგი ენათა შეპირისპირების ყველა დონეზე ვლინდება“. 3. „ყველა ქართველურ-პელასგურ-ეტრუსკულ ლექსიკურ შეხვედრაში ამოსავალი ქართული ფუძე ჩანს, რადგან იგი აღდგება საერთოქართველური ან ქართულ-ზანური ურთიერთობის დონეზე“. ყველა ეს წინადადება და მათში გატარებული აზრი ეყრდნობა დიდი სკრუპულოზურობითა და მოთმინებით (რაც დამახასიათებელია ბატონი რისმაგის ყველა ნაშრომისათვის) განხილულ ენათმეცნიერულ კვლევას და ნაშრომში მოტანილია აუმრავი ლექსიკური მასალა ამ შეხედულებათა დასასაბუთებლად.**

როგორც წიგნის შესავალშია ნათქვამი ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ეხება ეტრუსკთა მითოლოგიურ წარმოდგენებს, მათ რელიგიას და სოციალურ ყოფის ამსახველ პერიპეტიებს, ეკუთვნის პროფესორ ეკატერინე კოპახიძეს. ჩემთვის როგორც ეთნოლოგისათვის ეს თემები უაღრესად საინტერესოა, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანთა ყოფაში დაფარული ელემენტების, ანუ ცხოვრების არააშკარა მოდელების წარმოჩენის გარეშე, ვერ შევძლებთ მივიღოთ სრული სურათი გარდასული ყოფის შესახებ. ამ შემთხვევაში მითოლოგია და რელიგია, როგორც უფრო ღრმა სფერო ადამიანთა შემოქმედებისა, არ მაქვს მხედველობაში, მე ვამახვილებ ყურადღებას ადამიანზე,მის ქცევასა და ხასიათზე, მის ისეთ მისწრაფებებზე, როგორიცაა ტრადიცის შიგთავსი, მერე – გართობა, სიყვარული, სევდა, ერთგულება, განა ყველაფერი ეს არ გვანახა პომპეის გათხრების დაკონსერვებული ყოფის გამომზეურებამ?.. ადამიანი ყოველთის ადამიანი იყო და მასში ადამიანური ვნებები არ მოუტანია თანამედროვე ცივილიზაციას, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნიათ. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მსურს ყურადღება გავამახვილო ნაშრომში მოტანილ ისეთ დეტალებზე, რომელიც გარკვეულწილად შეუწყობდა ხელს მედიტერანულ კულტურაში ქართველური მოდგმის ხალხთა მონაწილეობის მნიშვნელოვან ჰიპოთეზას.




პირველად შევეხები ქალთა თემას, რომელიც საკმაო ნათლადაა წარმოდგენილი ნაშრომში.ირკვევა, რომ ქალთა ემანსიპაციის მხრივ ეტრურიაში პრობლემა საერთოდ არ მდგარა და ქალის უფლება თითქმის აღმატებულიც კი ყოფილა კაცისაზე. სხვათაშორის, ძველ ისტორიკოსთა ნაწილი ეტრუსკი ქალების გადაჭარბებულ ქცევებზეც მიუთითებენ თუმცა, როგორც ირკვევა, ამ ისტორიკოსებს კერძო მიზნები ამოძრავებდათ და მათი გადაჭარბებანი ამ მიზნითაა გამოწვეული. ფაქტი კი ისაა, რომ ეტრუსკი ქალები არიან „ძლიერ ლამაზნი“, რაც უნისონში მოდის ქართველ ქალთა ცნობილ სილამაზესთან, ისინი ყოველმხრივ „თავისუფალნი“ არიან და აქტიურად ებმებიან პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი, ესწრებიან და მონაწილეობენ გართობა-თამაშობებში და მიუხედავად იმისა, რომ ეტრუსკი მამაკაცები ოჯახში პირველები იყვნენ, ისინი დიდ ანგარიშს უწევდნენ ქალის სიტყვას. ქართული საოჯახო ყოფის შემსწავლელ ეთნოგრაფიულ ნაშრომში უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი ქალის უფლება-მდგომარეობა და იგი ხასიათდება ქალის პიროვნული თავისუფლების თითქმის ისეთივე ფორმით, როგორც ამას ეტრურიის საზოგადოებაში ვხედავთ.

ამ პარალელის გასაძლიერებლად მოვიტანთ ორ სასიკვდილოდ შებმული მოშუღართა შორის ქართველი ქალისაგან მანდილის ჩაგდებით დაზავების წესს და ასევე ქალის კულტის არნახულ ფორმას, რომელიც ჩვენს მეტყველების კულტურაშია დამკვიდრებული. კერძოდ ესაა დრო, სადაც ქალი ყოველთვის წინ დგას მამაკაცზე, ასეთია მაგ: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, ქალ-ვაჟი, გოგო-ბიჭები, ბებია-ბაბუა, ბაბოპაპა და სხვა.

ეტრურიის მოსახლეობის უაღრესად დამახასიათებელ თვისებად განიხილება აგრეთვე ღვინისა და ქეიფის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული,რაზედაც ყურადღებას ამახვილებენ ძველი რომაელი ავტორები. ეს იყო იმდენად მოქმედი ტრადიცია, რომ ამ „გადამეტებულმა, გასტროფედონისტური ცხოვრების წესმა არ მისცა მათ თვითშეგნების ფორმირებისა და თვითგადარჩენის ინსტიქტით გამორჩეული მენტალიტეტის ჩამოყალიბების შესაძლებლობა“. სამწუხაროდ, ამ თვისების ტრადიციულობა ერთიერთზე ხმიანდება დღევანდელ საქართველოში და როგორც ისტორიიდან ვიცით წარსულშიაც არაერთ ხიფათს გადავყრივართ ღვინისა და ქეიფის მოჭარბებული სიყვარულის გამო. ზოგადად ფაქტი იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და ეს ტრადიციული დამოკიდებულება ვაზისა და ღვინის მიმართ საქართველოდან გაეტანოთ აპენინის ნახევარკუნძულზე მიგრირებულ მოსახლეობას, სავსებით პოულობს თავის მართებულ ახსნას.

როგორც ნაშრომიდან ვგულისხმობთ, ეტრუსკების სახელი „ტირსენიელი“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს კოშკთან, ციხე-სიმაგრესთან. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება უამრავ მაგალითს იცნობს სახელდების მატერიალური სფეროდან აღმოცენების შესახებ. ცხადია, რომ ტირსენელების სახელი ისე ვერ გაიგივდებოდა ციხესიმაგრიან საცხოვრისთან, თუ ისინი ასეთ ტიპის ნაგებობების მშენებლობაში განსაკუთრებულად არ იყვნენ გამორჩეულნი. ეს მომენტი უნებურად გვახედებს სვანური და რაჭული საცხოვრისისაკენ, რომელშიც გაერთიანებულია საცხოვრისისა და დაცვითი ნაგებობის ფუნქცია. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, წინარებერძნულისათვის დამახასიათებელი turs/trus რაც ტირსენიელთა სახელის ფუძეს წარმოადგენს,პარალელს პოულობს ქართულ „დრუსო“-სთან. სულხან-საბას განმარტებით „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი, კეთილად ნაგები კოშკოვანი“. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ რაჭული „დუროოიანი სახლი“ (ან თუნდაც სვანური) გვერდით დავუყენოთ თითქმის მსგავსი ტიპის ეტრუსკულ ნაგებობას და დავუშვათ მათი ისტორიული ნათესაობის ვარაუდი, როგორც ეტიმოლოგიური ასევე არქიტექტორული კუთხით.

**ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ასევე იქცევს ყურადღებას ეტრუსკების „მაღალყელიანი და აპრეხილცხვირიანი ფეხსაცმელი“, რომელიც მათ რომაელებამდე სცმიათ, აშკარაა, რომ ეს ფეხსაცმელი მათ სხვა სამყაროდან მოუტანიათ. ეთნოგრაფიაში ასეთ ფეხსაცმელს „ჭვინტიანი“ ჰქვია და იგი გავრცელებული იყო, როგორც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის, ასევე წინა აზიის მოსახლეობაში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას აზრით: ჭვინტიანი ფეხსაცმელი ხასიათდება არქაული ფორმით და მისი ყველა ელემენტი ხურიტებისა და თეშუბ-ხეთელებისაგან მომდინარეა, მისი ფაქტობრივი იდენტურობა კავკასიურ-ქართულ მასალასთან ყველაზე მეტადაა თვალსაჩინო...**

ეს და სხვა, კიდევ ძალზე ბევრი და საინტერესო მეცნიერული ჰიპოთეზა, ვარაუდი და მიგნებაა მოტანილი ამ შესანიშნავ ნაშრომში,პირადად მე ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია აქ წარმოდგენილი მასალა ეტრუსკთა მითოლოგიასა და რელიგიაზე, საიდანაც გამოვყოფდი მიცვალებულის კულტისადმი მიძღვნილ მონაკვეთს, რომელმაც განსაკუთრებული ასოციაცია გამიჩინა სვანურ ლიფანალის კულტთან მიმართებაში.



**ელდარ ნადირაძე**
**18.3.2024**

# ტრიუმფის ექო



საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს, მათ მწვრთნელებს, სრულიად საქართველოს და უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენის მხრიდანაც, ვულოცავთ გუშინდელ გამარჯვებას.

მრავალი წლის შემდეგ ეს იყო ისეთი სიხარული, რომელმაც მოიცვა მთელი ერი. შევნიშნავთ იმასაც, რომ ბოლო დროს სპორტის სხვა სახეობებშიც ძალიან დიდი წარმატებები იქნა მიღწეული. ღმერთმა დალოცოს თითოეული თქვენგანი და შეგაძლებინოთ ქვეყანა კვლავაც გამარჯვებებით გაგეხარებინოთ.

მამაშვილური სიყვარულით,

**ილია II,**

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

* * *

30 წლის წინათ დაიწყო ჩვენი ეროვნული ნაკრების ისტორია და 30 წლის თავზე ჩვენ პირველად მოვახერხეთ, შევძელით და გავედით უმაღლესი რანგის ტურნირზე – ევროპის ჩემპიონატზე, რაც არის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული სიამაყის საგანი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა ყველას მიულოცა ისტორიული გამარჯვება და წარმატება.

**მინდა მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ფეხბურთელებს, ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრებს, რომლებმაც მართლა სული და გული ჩადეს გუშინდელ გამარჯვებაში, ასევე – რა თქმა უნდა, სამწვრთნელო შტაბს ვილი სანიოლის, ჩვენი საამაყო ფრანგი მწვრთნელის ხელმძღვანელობით და ასევე განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს – პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს, ვიცე-პრეზიდენტებს. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მადლობა. წლების განმავლობაში იქმნებოდა ის წარმატება, რომელსაც ჩვენ საბოლოო ჯამში გუშინ მივაღწიეთ. ასევე მინდა მივულოცო ეს ისტორიული გამარჯვება ჩვენს ვეტერან ფეხბურთელებს, მათ ათწლეულების განმავლობაში შექმნეს ეს გამარჯვება, ჩვენს ვეტერანებს ვულოცავ, 13 მაისის გმირებს, ჩვენს ვეტერან ფეხბურთელებს განსაკუთრებით მინდა მივულოცო. მინდა მივულოცო, რა თქმა უნდა, ნაკრების ყველა თაობის ფეხბურთელებს, თითოეული მათგანის წვლილი ამ გამარჯვებაში არის განსაკუთრებული. მათ მოიტანეს ეს გამარჯვება, რომელიც ჩვენ გუშინ შევქმენით და რომელიც მოგვიტანეს ჩვენმა ბიჭებმა“.**

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლას სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმაურება.

როგორც იგი წერს, ახდა თაობების ოცნება და გრძელდება საქართველოს გამარჯვებათა ისტორია.

**„არსებობს წუთები, რა დროსაც სუნთქვა ჩერდება და ისმის მხოლოდ გულის ცემა და ჩუმი ხმაური, რომ ამ წუთის სიდიადე უფრო მეტად შეიგრძნოს. 26 მარტს „დინამო არენაზე“ დადგა მომენტი, როცა საქართველოს გულმა სუნთქვა შეიკრა რაღაც აღმატებულის, სანუკვარის და დიდებულის მოლოდინში და მოხდა ის, რაც ვიცოდით, რომ აუცილებლად მოხდებოდა! ახდა თაობების ოცნება, ასრულდა მიზანი, ჩვენ მოვიგეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ! საქართველოს გამარჯვებათა ისტორია დაწყებულია და ეს ისტორია გრძელდება!“**

* * *

თბილისის მერი **კახა კალაძე** საქართველოს საბერძნეთთან გამარჯვებას და ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ულოცავს. კალაძის თქმით, საქართველოს ნაკრებმა ამ გამარჯვებით ისტორია დაწერა.

**„ეს არ არის უბრალოდ გამარჯვება, ეს არის ისტორია, რომელიც დაიწერა. ამისთვის ვწვალობდით, ვიბრძოდით რამდენიმე ათეული წელია. სამწუხაროდ, როგორც ფეხბურთელს, მე არ მომეცა შესაძლებლობა, ჩემს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ან მსოფლიოზე მეთამაშა, მაგრამ დღეს ვარ უბედნიერესი ადამიანი, ისე, როგორც არასდროს. ამაყი ვარ, ამაყი ვარ ამ ბიჭებით, ამაყი ვარ იმ გულშემატკივრებით, რომლებიც დღეს სტადიონზე იყვნენ. ვინც ვერ მოახერხა, ვისაც გული დასწყდა, ყველა, ყველა მიყვარხართ, გილოცავთ და წინ კიდევ უფრო მეტი გამარჯვებები, სიხარული გვენახოს სრულიად საქართველოს. გამთლიანებული, ძლიერი საქართველო გვენახოს უახლოეს მომავალში. ყველანი გერმანიაში, გილოცავთ!“**

* * *

**ფიფა-ს** პრეზიდენტი **ჯანი ინფანტინო** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, **ლევან კობიაშვილს** საქართველოს საფეხბურთო ნაკრების საბერძნეთთან გამარჯვებას და ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ულოცავს.

**„ვულოცავ ჩემს კარგ მეგობარსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ლევან კობიაშვილს თავისი ქვეყნის უეფას „ევრო 2024“-ზე გასვლას. საქართველო ფეხბურთის მოყვარული ქვეყანაა, რომელიც, ეჭვგარეშეა, დიდ სიამოვნებას მიიღებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირის ფინალურ ეტაპზე გამოჩენით“.**

* * *

**საქართველოს** ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვილი სანიოლმა** საბერძნეთთან ევრო 2024-ის პლეი ოფის ფინალის მოგების შემდეგ სიხარული ვერ დამალა, რომ „ჯვაროსნები“ ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა.

**„ბევრი ფიქრობდა, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან უნდა წავსულიყავი. არც ახლა ვფიქრობ წასვლაზე, რადგან კარგ ხალხში, ქვეყანაში და პროფესიონალებში მოვხვდი, აქ მუშაობა მიხარია.**

**რა შეგრძნება მაქვს, რომ ასეთ შედეგს მივაღწიეთ? სასიხარულოა, როცა შედეგს იღებ, მაგრამ გჭირდება დიდი მოთმინება და იმედი. საქმე ხან გამოდის, ხან – არა, მოთმინება ამიტომაა საჭირო.**

**მწვრთნელის წარმატება ფეხბურთელის მიღწევისგან განსხვავებულია. ფეხბურთელი პასუხს საკუთარ თამაშზე აგებს, მწვრთნელი კი – გუნდის შედეგზე. ეს სულ სხვა შეგრძნებაა, რაც დიდ შრომას მოაქვს.**

**პენალტებზე ბევრი ვივარჯიშეთ. როდესაც სერია იწყებოდა, უნდა შეგვერჩია, ვინ დაარტყამდა, ფეხბურთელებს გავესაუბრე და პირველი პენალტის შესრულება ქოჩორაშვილმა ისურვა. ის დიდი ხანი არაა, რაც ნაკრებში თამაშობს, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს წლებია, გუნდის წევრია. იგივე დვალი, რომელმაც ასე კარგად შეასრულა პენალტი. არავის გამოყოფა არ მსურს, დღეს ყველამ ფანტასტიკურად ითამაშა“.**

* * *

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, **ლევან კობიაშვილი** საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ულოცავს.



**„კიდევ ვერ ვიაზრებთ რა შევძელით. იმას, რაზეც წლების განმავლობაში ვოცნებობდით, დღეს ეს ყველაფერი ასრულდა. მინდა ეს გამარჯვება ყველას მივულოცო – ქართულ ფეხბურთს, თითოეულ მოთამაშეს, მწვრთნელს, გულშემატკივარს. ეს გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა. უბედნიერესი ვარ. 46 წელი მეგონა, რომ 10 ივლისს ვიყავი დაბადებული, მაგრამ დღეიდან შეგიძლიათ დაბადების დღე 26 მარტს მომილოცოთ“.**

* * *

**მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ ჩვენ უკვე ვთამაშობთ მოწინავე ქვეყნებთან, უკვე ვთამაშობთ დიდ საფეხბურთო ფორუმზე და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ამაზე არ უნდა შევჩერდეთ. ამ გუნდს მეტის პოტენციალი და რესურსი აქვს,** – ამის შესახებ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა **დავით მუჯირმა** განაცხადა. მან ევროპის ჩემპიონატზე გასვლა მიულოცა ფეხბურთელებს და მადლობა გადაუხადა გულშემატკივრებს გუნდის მხარდაჭერისთვის.

**„უფრო მეტად გაერთიანდა ქვეყანა. ეს დადებითი მუხტი გადაეცა ჩვენს ნაკრებს და შედეგზეც აისახა“,** – აღნიშნა მუჯირმა. მან ასევე ევროპის პირველობაზე გუნდის შანსებზე ისაუბრა.

**„დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ჩვენი სამწვრთნელო შტაბი ვილი სანიოლის მეთაურობით შეძლებს ეს გუნდი კვლავ გადააწყოს იმაზე, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ და უკვე ევროპის ჩემპიონატზე შევძლოთ გულშემატკივრის გახარება. დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფშიც შეგვიძლია ვიყოთ კონკურენტუნარიანი და ვიბრძოლოთ ფლეი-ოფში გასასვლელად. ერთადერთი დებიუტანტი ვართ ევროპის ჩემპიონატზე 2024 წელს და შევეცდებით, რომ როგორც დებიუტანტებმა, ხმაურიანი სენსაცია შევთავაზოთ გულშემატკივარს“.**

* * *

**საქართველოსა** და საბერძნეთის ეროვნული ნაკრებების მატჩის დასრულების შემდეგ კომენტარი **ხვიჩა კვარაცხელიამ** გააკეთა.

**„უბრალოდ ფეხი დამეჭიმა, სერიოზული არაფერია. ზოგს ჩვენი არ სჯეროდა, მაგრამ ახლა დაიჯერებენ. უბედნიერესები ვართ. ასეთი ემოცია ცხოვრებაში არ მქონია და კიდევ: მალე ბიჭის მამა გავხდები.**

**მადლობა ქართველ გულშემატკივარს. ბევრ სტადიონზე მითამაშია, მაგრამ ასეთი გულშემატკივრობა არსად მინახავს. თქვენ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყავით“.**

* * *

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი მამარდაშვილი** საქართველო-საბერძნეთის თამაშით კმაყოფილია და ამბობს, რომ მან და ნაკრების სხვა წევრებმა ეს ყველაფერი ქართველი გულშემატკივრისთვის გააკეთეს.

როგორც მამარდაშვილმა ჟურნალისტებთან თამაშის შემდეგ განაცხადა, სწორედ გულშემატკივრის დამსახურებაა დღევანდელი გამარჯვება.

**„ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივრებს იმიტომ, რომ არა მარტო დღეს, არამედ მთელი ეს ორი წელი გვერდში გვიდგანან და გვამხნევებენ რაც შეუძლიათ. მათი დიდი დამსახურებაა დღეს რომ აქ ვართ და მიხარია მათთვის, რადგან ისინი გავაბედნიერეთ და გავედით ევროპის ჩემპიონატზე, ოცნება ამიხდა. მთლიანად თამაში ძალიან რთული იყო. ვიცოდით, რომ ფინალი იყო და ფინალი სულ არის დაძაბული. არ იცი რა მოხდება და მითუმეტეს ნაკრებში უფრო რთულია. დიდ წნეხს გრძნობ, პასუხისმგებლობას და ამიტომ რთული იყო. ემოციური თამაში იყო. მე და ბიჭებს გვინდოდა ეს ხალხი გაგვეხარებინა, რადგან იმსახურებენ ამას. გავედით ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენ დავწერეთ ისტორია“,** – აღნიშნა **მამარდაშვილმა.**

* * *

**ქართველი გულშემატკივარი 30 წელია ამ წარმატებას ელოდება. მადლობა ყველას ვინც ამ გამარჯვებაში მონაწილეობა მიიღო, მადლობა გულშემატკივარს. დიდი იმედები გვქონდა და მადლობა ყველას რომ ეს იმედები გაამართლეთ,** – ამის შესახებ საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, **კახა ცხადაძემ** განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ გუშინდელ თამაშში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველოს ნაკრებს დაცვაში შეცდომა არ დაეშვა.

**„გოლი არ უნდა გაგვეშვა, ამაზე იყო აქცენტი. საბერძნეთიც ამაზე აკეთებდა გათვლებს, რადგან ძალიან ეშინოდა ჩვენი სწრაფი შეტევების.**

**სანამ 11-მეტრიანები დაიწყებოდა, ჩემს შვილს შეტყობინება გავუგზავნე, რომ ამ თამაშს მამარდაშვილი მოიგებდა. ფაქტია, რომ მამარდაშვილი უკვე მსოფლიო დონის მეკარეა და ეს გუშინ დაამტკიცა.**

**ოცნება ახდა – არ აქვს მნიშვნელობა ცხადაძემ, კალაძემ, კობიაშვილმა თუ არველაძემ მოიგო და ევროპის ჩემპიონატზე გავიდა თუ ეს ჩვენმა ახალმა თაობამ გააკეთა, მთავარია ამას ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველამ დაინახა, რომ ფეხბურთი არის ნომერ პირველი სპორტი, ფეხბურთს ყველაფერი შეუძლია.**

**საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა ღირსების ორდენზე წარდგენა მრავლისმთქმელი ინიციატივაა. ეს ბევრი სპორტსმენისთვის სტიმული იქნება. მადლობა პრემიერს, მე ვიცი, რომ მას უყვარს ფეხბურთი და უფრო მეტს გააკეთებს“.**

* * *

**საქართველოს** დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი **ზურაბ პეტრიაშვილი** ევრო 2024-ის პლეი ოფის ფინალში საბერძნეთთან გამარჯვებასა და საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას გამოეხმაურა.

**„ვულოცავ მთელ საქართველოს. 1990 წლის 15 თებერვალს, როდესაც საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას გამოვეყავით და ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, სახლში დაბრუნებულს რატომღაც თვალწინ მედგა ჩვენი ფეხბურთის ბერმუხის, ბორის პაიჭაძის პესიმისტური განწყობა.**

**მას, ისევე როგორც მრავალ ვეტერან ფეხბურთელს, არ სჯეროდა, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად წარმატებით განვითარდებოდა. იმ ღამეს ფიცი დავდე, რომ სწორედ მე ვახარებდი ბატონ ბორისს ქართული ფეხბურთის გამარჯვებას. დადგა ეს ნანატრი დღეც, 2024 წლის 26 მარტი – საქართველოს ნაკრები ევრო 2024-ის ფინალურ ეტაპზე გავიდა.**

**ვულოცავ ბერმუხას და ქართული ფეხბურთის ყველა თაობის წარმომადგენლებს ამ დიდ გამარჯვებას, ფიცი შევასრულე. როგორ შემიძლია, არ მივულოცო დამოუკიდებლობის იდეისათვის მებრძოლ ყველა გულანთებულ პატრი-**

ოტს და, პირველ რიგში, ჩემს დიდ თანამოაზრეს, ალექსანდრე ჟღენტს, რომლისთვისაც ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა ცხოვრების მიზანი იყო.

ქართველებო, ეს მხოლოდ დიდი გამარჯვებების დასაწყისია, უკვე მოვიდნენ რკინისმკვნეტელი ბიჭები – მამარდა, კვარა, ქოჩორა და ძმანი მათნი. ჩემი სურვილი ისევ ტრადიციულია – საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება. ღმერთი იყოს ამ დიდ მიზანში ჩვენი მფარველი“.

* * *

**ლეგენდარული** ქართველი კალათბურთელი **ზაზა ფაჩულია** საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ულოცავს.

**„ისტორიული დღეა – მადლობა ბიჭებს თავდადებული ბრძოლისთვის და ამ წუთებისთვის, რომელიც მთელ ქვეყანას აჩუქეს“.**

* * *

**ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლით საქართველოს ნაკრები ფიფა-ს რეიტინგში ორი ადგილით დაწინაურდა.**

**საქართველოს ეროვნულმა გუნდმა 21 მარტს ლუქსემბურგი 2:0 დაამარცხა, ხოლო საბერძნეთის ნაკრებს პენალტების სერიაში (0:0 ძირითადი დრო, 4:2 პენალტების სერია) სძლია. შედეგად, ჩვენს გუნდს 21,31 ქულა დაემატა და 1333.76 ქულით ფიფა-ს მიერ გამოქვეყნებულ განახლებულ რეიტინგში 77-ედან 75-ე ადგილზე დაწინაურდა.**

* * *

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. გარდა სპორტული კუთხისა, ეს ფინანსურადაც მომგებიანი იქნება ქართული ფეხბურთისთვის.

უეფამ საპრიზო ფონდი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაამტკიცა, რომლის მიხედვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 9.25 მილიონი ევრო ერგება. ეს არის მინიმალური თანხა, რომელსაც ევრო 2024-ის მონაწილე 24-ვე ნაკრები მიიღებს. ამას დაემატება თანხა ტურნირზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

**მონაწილეობის საფასური: 9.25 მილიონი ევრო,**

**მატჩის ბონუსი: 1 მილიონი ევრო გამარჯვებაზე, ნახევარი მილიონი ევრო ფრეზე,**

**მერვედფინალში გასვლის ბონუსი: 1.5 მილიონი ევრო,**

**მეოთხედფინალში გასვლის ბონუსი: 2.5 მილიონი ევრო,**

**ნახევარფინალში გასვლის ბონუსი: 4 მილიონი ევრო,**

**ფინალისტის ბონუსი: 5 მილიონი ევრო**

**ევროპის ჩემპიონის ბონუსი: 8 მილიონი ევრო.**

მაქსიმალური თანხა, რომლის გამომუშავება ევროპის ჩემპიონს შეეძლება, თუ ჯგუფში სამივე მატჩს მოიგებს, არის **28.25 მილიონი ევრო.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე F ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები თურქეთის (18 ივნისი, დორტმუნდში), ჩეხეთის (22 ივნისი, ჰამბურგში) და პორტუგალიის ნაკრებები (26 ივნისი, გელზენკირხენში) იქნებიან.

თურქეთთან აქამდე 5 მატჩიდან 1 მოვიგეთ, 1 ფრედ დავასრულეთ და 3 წავაგეთ, ჩეხებს ჯერ არ შევხვედრივართ, ხოლო პორტუგალიასთან დავმარცხდით ერთადერთ შეხვედრაში.

* * *

**„ჩვენ ისინი არ დავაფასეთ, მათ ჩვენ დაგვსაჯეს“.** – ასეთი სათაურით აქვეყნებს პუბლიკაციას ბერძნული პორტალი in.gr

**„ამპარტავნება ის ყვავილია, რომლის ნაყოფიც თავხედობაა. ჩვენი საქციელით უპატივცემულობა გამოვიჩინეთ ქართველების მიმართ, დავივიწყეთ წარსული. გაგვათამამა ყაზახეთის კარში გატანილმა ხუთმა გოლმა და თავი ცუდი კუთხით წარმოვაჩინეთ.**

**პირველ რიგში კი ეს ეხება ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელობას, ფედერაციას, რომელმაც „ლურჯ-თეთრების“ ბოლო ათწლეულის მთავარი თამაში სასკოლო ექსკურსიად გადააქცია. ხელმძღვანელობას ყაზახეთთან წარმატებამ ისე დაახვია თავბრუ, თითქოს მესის არგენტინა გაგვენადგურებინოს.**

**ეს სანიოლის გუნდის მიმართ უპატივცემულობა იყო. საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე დისციპლინირებული გუნდია, რომელსაც ჩავარდნა არ ჰქონია“...**

*დავძენთ, რომ ჯვაროსნების ისტორიულ წარმატებას ულოცავენ მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის –* ***აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდებისა და აზერბაიჯანის საელჩოები****, აგრეთვე* ***საქართველოში ევროკავშირისა და ნატოს წარმომადგენლები, ჩვენს ლეგიონერთა კლუბები და ავტორიტეტული საინფორმაციო საშუალებები.***

# დიდი მეცნიერის საიუბილეო საღამოები რეაბილიტირებულ მუზეუმში

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და მუზეუმელთა ალიანსის ინიციატივით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა ორი დღის განმავლობაში დიდი ქართველი მეცნიერის, ხელოვნების ისტორიკოსის, შალვა ამირანაშვილის დაბადების 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს უმასპინძლა.**

სასიხარულოა, რომ 26-27 მარტს გამართული ღონისძიებები კულტურის სამინისტროს მიერ სრულად რეაბილიტირებული ხელოვნების მუზეუმის მეორე კორპუსის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.



შალვა ამირანაშვილის დაბადების 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღის ფარგლებში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ნიკა ახალბედაშვილმა, შალვა ამირანაშვილის ოჯახის წევრებმა, მუზეუმელთა ალიანსისა და ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებმა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში შალვა ამირანაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს და მისი საფლავი გვირგვინებით შეამკეს.

ასევე დიდი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღის ფარგლებში ხელოვნების მუზეუმის მეორე კორპუსის შესასვლელში შალვა ამირანაშვილის ბიუსტი საზეიმოდ გახსნეს.

ბიუსტი, რომელიც ბრინჯაოშია ჩამოსხმული, მოქანდაკე ოთარ ფარულავას მიერ შექმნილი პორტრეტის მიხედვით დამზადდა. იგი არქიტექტორებმა ვახტანგ დავითაიამ და თენგიზ გოგოლაშვილმა დააპროექტეს.

შალვა ამირანაშვილის ღვაწლის სათანადოდ დასაფასებლად, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, შალვა ამირანაშვილის შვილის, გულბად ამირანაშვილის, მამაზე დაწერილი წიგნი და ბროშურა – „საქართველოში დაბრუნებული საგანძური“ – გამოიცა.

მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნების მუზეუმის ფონდებში არსებული მნიშვნელოვანი ექსპონატების შესახებ სრული კატალოგი წლის ბოლომდე გამოიცემა (დაიბეჭდება 500 ეგზემპლარი).

# ჯაბა სამუშიამ გამოფენა „ქართული განათლება, კულტურა და საფოსტო მარკები“ გახსნა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს ხელოვნების, კულტურის, სპორტის, განათლებისა და მეცნიერების ამსახველი გამოფენა გახსნა, სადაც სხვადასხვა წელს, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული საფოსტო მარკები იყო წარმოდგენილი.**

გამოფენა „ქართული განათლება, კულტურა და საფოსტო მარკები“ საქართველოს ფოსტის ორგანიზებითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მადლობა გადაუხადა საქართველოს ფოსტას და მის ხელმძღვანელს ლევან ჩიკვილაძეს თანამედროვე სამყაროში მარკისთვის ღირებულების შენარჩუნების და მისი პოპულარიზაციისთვის.

**საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ ისაუბრა საქართველოში მარკის პოპულარიზაციზე როგორც საოპერაციო მიზნით გამოყენებისას, ასევე ფილატელიის დანიშნულებით. მისი ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს ფოსტის მიერ გამოცემული 135 ერთეული მარკა თემატურად დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან, სპორტთან, განათლებასთან. ცალკეა გამოყოფილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული მარკები, რომელთაც უკან ძალიან დიდი ისტორია აქვთ. მაგალითად, ერთ-ერთი მარკის ღირებულების ნაწილი მიმართულია ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის გამაგრებითი სამუშაოების ფონდში. ასევე, წითელ ჯვართან ერთად გამოცემული მარო მაყაშვილისადმი მიძღვნილი მარკის ღირებულებიდან 1 ლარი 500 უსახსრო და მიუსაფარ ხანდაზმულ ბენეფიციარს ხმარდება. „გამოფენაზე ბევრი სტუდენტი დამთვალიარებელია, მათი მხრიდან ასეთი ინტერესი ძალიან სასიხარულოა, ჩვენ უფრო მეტი ენერგიითა და შემართებით ვიმუშავებთ მომავალში, რომ უფრო საინტერესო ნამუშევრები წარმოვადგინოთ“, –** აღნიშნა **ლევან ჩიკვაიძემ.**





# წმიდა ამბროსი აღმსარებელი

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1927 წ) წმიდა აღმსარებლის ამბროსის (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) ხსენების დღეა. ამბროსი ხელაია იყო უაღრესად მოყვარე თავისი სამშობლოსი, თავისი ერის, ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიისა.**

1890 წელს სოხუმის ეპისკოპოსმა ამბროსი დიაკვნად აკურთხა. სულ მალე მღვდლად დაასხეს ხელი. ის რვა წელი მოძღვრობდა სოხუმში, სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენას, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებებს. 1896 წელს დაქვრივდა...

1901 წელს წმიდა ამბროსი ბერად აღიკვეცა. ის დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამისთვის 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი ნაკურთხ იქნა არქიმანდრიტად და ჭელიშის მონასტრის წინამძღვრობა დაევალა. სადაც ისწავლებოდა გალობა, საღმრთო წერილის კითხვა... 1917 წელს წმიდა ამბროსი ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი აფხაზეთის მიტროპოლიტად გაამწესეს...

საგულისხმოა ისიც, რომ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო ბოლშევიკური იდეოლოგიისათვის. ამ ფაქტს მთავრობა გულხელდაკრეფილი არ შეხვედრია და მალე წმიდა ამბროსი დააპატიმრეს.

სასამართლო პროცესზე მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვაში წმიდა ამბროსიმ ჯალათებს უთხრა: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული – საქართველოს, გვამს კი რაც გნებავთ, ის უყავით“.

**გიული ლიპარტია**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, შპს „ფემილი ფარმის“ მიერ კასპის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის ფერმისა და სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის** გზშ-ის ანგარიშზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, **2024 წლის 26 აპრილს 12:00 საათზე კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში** გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით დაგეგმილი საჯარო განხილვა გაუქმდა. დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე - https://ei.gov.ge/ka/info/e8f11134-6519-48c1-8849-47cb4fac1936




## ვარსკვლავები „ბლექ სი არენაზე“

**Starring Georgia-ს 2024 წლის სეზონის ვარსკვლავური თარიღები უკვე ცნობილია. 10 მაისს Starring Georgia-ს მუსიკალურ სეზონს შეკვეთილში ამერიკული პოპ როკ ბენდი OneRepublic-ი გახსნის. ჯგუფის პირველი მნიშვნელოვანი წარმატება კომპოზიციას ფზწდწპშჭუ უკავშირდება, რომელმაც ბენდს პირველი გრემის ნომინაცია და სადებიუტო ალბომის გამოცემის მოტივაცია მისცა.**

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ბენდის სოლისტი Ryan Tedder, რომელმაც სხვადასხვა თაობის საყვარელ ჰიტებზე ისეთ დიდ არტისტებთან იმუშავა, როგორებიცაა: Beyonce, Adele, Taylor Swift, Maroon 5, James Blunt და სხვა. Scorpions – გერმანული, ლეგენდარული ჰარდ-როკ ბენდი, რომელმაც Black Sea Arena-ს 10 000 მაყურებლიანი დარბაზი ერთხელ სრულად გაავსო, შეკვეთილს მეორედ 31 მაისს ესტუმრება. 18 აგვისტოს Brit Award-ის გამარჯვებული ჟუნგლე Jungle Black Sea Arena Front Stage-ზე წარდგება.

ღონისძიების ორგანიზატორის, „ბლექ სი არენას“ ინფორმაციით, ბილეთების გაყიდვა 29 მარტიდან BSA.ge-სა და TKT.ge-ზე ეტაპობრივად დაიწყება.

## ლევილის მამულში შატოს განახლება აგვისტოში დასრულდება

**ლევილის ქართველთა მამულში შატოს სახურავის რეაბილიტაცია დასრულდა და აქტიურად მიმდინარეობს ფასადის რესტავრაცია,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.



მათივე ინფორმაციით, სამუშაოებს ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის გამოცდილების მქონე ფრანგული კომპანია „დიუბოკი“.

შატოს ფასადი, ხის დარაბების ჩათვლით, ისტორიული ფერებით, მასალითა და მეთოდით აღდგება. მოცემული სამუშაოები 2023 წლის მესამე კვარტალში დაიწყო, ორ ეტაპად ხორციელდება და მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება.



## გიორგი გიგაშვილი აღიარებული მუსიკოსია

**ახალგაზრდა ქართველ პიანისტს, უნიჭიერეს გიორგი გიგაშვილის დიდ ბრიტანეთში, Terence Judd-Halle-ის პრესტიჟული ჯილდო გადაეცა.**

ჯილდოს ყოველწლიურად BBC Radio 3 ახალი თაობის გამორჩეულ ერთ პიანისტს ანიჭებს. Terence Judd-Halle-ის ჯილდო პიანისტებისათვის მნიშვნელოვანი აღიარებაა. ის ფულად პრემიასთან ერთად, კონცერტების სერიასაც მოიცავს.

**„Terence Judd-Halle ჯილდო გადმომეცა მანჩესტერში, დიდ ბრიტანეთში. ეს პრემია ყოველ წელს ერთ პიანისტს გადაეცემა და 2024325 წლის გამარჯვებული მე გავხდი, რაც ჩემი პირველი ჯილდოა საერთოდ და თან ასეთი, და მინდოდა რომ უბრალოდ გამეზიარებინა თქვენთვის“,** – წერს **გიორგი გიგაშვილი.**

დაჯილდოების გამარჯვებულის ამპლუაში გიორგი გიგაშვილი ცნობილ ინგლისურ სიმფონიურ ორკესტრთან, Halle-სთან ერთად მანჩესტერში კონცერტს გამართავს. ის მსმენელის წინაშე ასევე წარდგება სოლო კონცერტის და სხვა მუსიკალური საღამოების ფარგლებში. დეტალური განრიგი 2 მაისს იქნება ცნობილი.

ცნობისთვის, გასულ წელს გიორგი გიგაშვილი BBC-ის ახალი თაობის არტისტების ორწლიანი პროგრამის მონაწილე გახდა, რაც გულისხმობს კონცერტებს BBC-ის ცნობილ ორკესტრებთან დიდი ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე, ასევე სოლო კონცერტს BBC-ის Radio 3-ის პირდაპირ ეთერში, სტუდიური ჩანაწერების გაკეთებასა და სხვა აქტივობებს. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში 16 აპრილს გიორგი გიგაშვილი ლონდონში BBC-ის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დაუკრავს.

## საფრანგეთში, გასტრონომიის ფესტივალებზე ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი

**ბაზრების დივერსიფიცირებისა და გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის რამდენიმე პრესტიჟულ ფესტივალზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Ⴆუ Ⴆწტე სფგსფთშუტ“ ორგანიზებით იყო წარდგენილი,** – ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.



კომპანიის „Le Pont Caucasien“ ხელმძღვანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა ილია კახოიძემ ფესტივალების სტუმრებს რვა ქართული ღვინის კომპანიის ის ღვინოები გააცნო, რომლებიც უკვე იყიდება საფრანგეთში. ფესტივალი „SAVIM Printemps Salon des Vignerons et de la Gastronomie“ ქალაქ მარსელში, „LA FETE des VINS et de la GASTRONOMI“ ქალაქ ტულონში, ხოლო „SALON DU VIN POUR PROFESSIONNELS“ ქალაქ ნიცაში გაიმართა. მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, ქართულ ღვინოზე, განსაკუთრებით კი ქვევრის ღვინოზე, მოთხოვნილება მზარდია.

## ტრამპმა ბიბლიის გაყიდვა დაიწყო

**26 მარტს, აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საკუთარ სოციალურ მედია Truth Social-ზე ვიდეო გამოაქვეყნა, რომელშიც მეფე ჯეიმსის ბიბლიას წარადგენს, რომელსაც ყდაზე „ღმერთმა დალოცოს აშშ“ აწერია.**



ტრამპმა ბიბლია ამერიკელ მომღერალ ლი გრინვუდთან პარტნიორობით გამოსცა, რომელიც სიმღერის „ღმერთმა დალოცოს აშშ“ ავტორია. ტრამპის თქმით, ეს მეფე ჯეიმსის ვერსიის ბიბლიაა, რომელიც ასევე „ამერიკის დამფუძნებელი მამების“ დოკუმენტებს შეიცავს: აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციას, უფლებათა ბილს, კონსტიტუციასა და ერთგულების ფიცს. ვიდეოში ტრამპი მხარდამჭერებს მისი ბიბლიის ყიდვისკენ მოუწოდებს, რომლის ღირებულებაც 459.99-ია.

**„ყველა ამერიკელს სჭირდება ბიბლია თავიანთ სახლში, და მე ბევრი ბიბლია მაქვს“,** – ამბობს ტრამპი.

## გილოცავთ კალმოსნებო!

### კულტურის სამინისტროს კონკურსის „ახალი ქართული წიგნი - მწერლების ხელშეწყობა“ პროექტის პრიზიორები გახდნენ:

**1) კარლო კაჭარავა, „ტურიკო“;**

**2) ლევან ფანჩვიძე, პოეტური კრებული „ღვთაებრივი მისტერიები“;**

**3) ირაკლი ასლანიკაშვილი, პოეტური კრებული „თავისუფალი თემა“;**

**4) სალომე ლორთქიფანიძე, „ელი და ლაზნას საიდუმლო“ (რომანი);**

**5) ნათია ანჯაფარიძე, „გადატვირთვის ადგილი – აეროპორტი“;**

**6) მამუკა დოლიძის პროზაული კრებული;**

**7) დანი ადამელია, „ზღაპარი მაგიის გარეშე“ (რომანი);**

**8 ) მაყვალა გონაშვილი, პოეტური კრებული „ქალის სახელით“;**

**9) ირაკლი ცხაკაია, „მოთხრობებად და პიესებად მოყოლილი ამბები“;**

**10) გიორგი კაჭარავა, „პილატე და კაიაფა“;**

**11) ნინო გუგეშაშვილის ნოველების კრებული;**

**12) მანანა ჩიტიშვილი, ლექსების კრებული „სიზმრის ანგელოზები“.**

კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენდა 60 000 ლარს; საკონკურსოდ კულტურის სამინისტროს 51-მა განმცხადებელმა მომართა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 აპრილს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6978; ევრო - 2.9112;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4035;
100 რუბლი - 2.9233; თურქული ლირა - 0.0840;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5928;
1000 სომხური დრამი - 6.8425

### ამინდი 29 მარტისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე +17 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge